მეორე წელიწადი — ფასი 5 კაპ. — პარასკევი, 10 თიბათვე 1616 წ. — № 128

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

**განცხადების ფასი**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 [illegible] მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ სალამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.

**დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.**

**ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი**

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**ფასი: ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 40 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან. გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.

**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე სალამოთი—5—7 საათამდე.

**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **ხანდრო შანშიაშვილი.**



განსვენებულ პოეტის

**იროდიონ ისაკის ძე**

**ევდოშვილის**

**დამკრძალავი ბიურო**

აუწყებს საზოგადოებას, რომ კვირას, 12 თიბათვეს, დიდუბის ტაძარში დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 10 ს., პანაშვიდი 12 საათზე.

---

კვირას, 12 თიბათვეს გარდაცვალების ორმოცის თავზე დიდუბის ეკლესიაში დანიშნულია წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

**იროდიონ ისაკის ძე**

**ევდოშვილ-ხოსიტაშვილის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ-მეგობართ გულითადის მწუხარებით განსვენებულის გულმოკლული **ქვრივი მანანა შვილებითურთ.** წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე.

---

კვირას, 12 თიბათვეს, გარდაცვალების ორმოცის თავზე, დიდუბის ეკლესიაში დანიშნულია წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

**იროდიონ ევდოშვილის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის **ძმა პოლკოვნიკი ილარიონ ისაკის ძე ხოსიტაშვილი, მეუღლე მისი ნინო, განსვენებულის და ბაბილინა ისაკის ასული, სიძე ნიკოლოზ სვიმონის ძე კურდღელაშვილები.** წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. პანაშვიდი შუადღის 12 საათზე.

---

გულითად მადლობას ვწირავთ ყველა იმ პირთ და დაწესებულებათ, რომელთაც პატივი სცეს ჩვენი ძვირფასი მეუღლის და მამის

**სტეფანე სიმონის ძე**

**ელიაძის**

ხსოვნას და განიზიარეს ჩვენი უზომო მწუხარება, როგორც ცხედრის განსვენებაზე დასწრებით, ისე ჩვენდამი მომართვით და ნუგეშით.
**ელენე ვახილის ასული ელიაძისა შვილებითურთ.**

---

**სახალხო სახლი**

**პარასკევს, 10 თიბ. 1916 წ.**

**ნინო ჩხეიძის მეორე გასტროლი**

წარმოდგენილი იქნება **მედეა** დრ. 5 მ. ა. სუვორინისა ბურენინისა, თარ. დ. მესხისა

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი: ა. ქიქოძე, ნ. ჩხეიძე, მ. ქილარჯიშვილი, ბ.ბ.: ვ. გუნია, ა. იმედაშვილი, პ. კორიშელი, ზ. გომელაური, ი. თარალაშვილი და სხვა.

ადგილების ფასი 2 მ. 40 კ-დან 30 კ-მდე. ✦ დასაწყისი სალამოს $8^1/_2$ საათზე.

(2-130-2) გამგე ა. იმედაშვილი.

---

**სახალხო სახლი კ. ი. ზუბალაშვილისა**

**სამშაბათს 14 თიბათვეს 1916 წ.**

სახალხო სახლის სცენის-მოყვარეთა მიერ პირველათ სახალხო სახლში **ვლ. ს. ალექსი მესხიშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

I.

**ინსტინქტი**

დრამა 3 მოქ. კისტმეკერისა თარ. ვ. ს. ალექსი მესხიშვილისა.

II.

**მათიკო** მესამე მოქ. ა. ცაგარლისა.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნი ა. ქიქოძე, ს. ანკარა, მჭედლიშვილი, ბბ. ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილი, ნ. გოცირიძე, ვ. ნინიძე, გოგია გიორგაძე, შანშიევი, სალაყაია, გ. ჯაბაური და სხვა.

წარმოდგენის მსვლელობის წესი: 1) „მათიკო,“ 2) „ინსტიქტი“.

**ადგილების ფასი 30 კ.-დან 99 კ.-მდე ✦ დასაწყისი სალამოს 8 საათზე.**

ბილეთების კასა ღიაა ყოველ დღე დილის 12—2-მდე დ სალ. 6—8 საათ.

**რეჟისორი ვლ. ს. ა. მესხიშვილი** გამგენი **ჯაბაური დ ნ. გიორგაძე.**

4—214—1

---

**შრომისა და ბინის მძებნელ პირთა განცხადებანი**

— დაიბეჭდება მეოთხე გვერდზე —

**ხელმისაწვდომ ფასად**

---

**ვაგზლის საავადმყოფოში**

(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)

**საავადმყოფოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.**

აგრეთვე ექიმი—ქალი მარ. კონ. იოსელიანისა მიიღებს დედათა სნეულებით ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.

---

**წაღვერში**

**სადგურის მახლობლად, საუცხოვო ადგილას მჟავე წყლის ახლოს,**

**ხარიძის აგარაკში**

მშვენიერ შენობის ზემო სართულში **ვიყვან პანსიონერებს** მეტად შეღავათიან პირობებით.

10—101—9 პანსიონის გამგე **მარია მუშანია.**

---

ღვინის საწყობი

**ნიკო გ. სესიაშვილისა**

✦ იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი ✦

**კახური ღვინო**

**განოვის ქუჩა № 4.**

—— სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა. ——

(185—წ.)

---

**ვამზადებთ**

**პირობით** ხელმისაწვდომ ფასებში

**პრაპორშჩიკთა შკოლისათვის**

მეცადინეობა დაიწყება 20 თიბათვიდან. პირადათ მოლაპარაკება სალამოს 6—7 საათამდე.

**მისამართი:** მოსკოვის ქუჩა, სახლი 24, ბინა 1. 25—128—1

---

**ექიმი-დოსტაქარი**

**გ. მ. მუხაძე**

იღებს ავადმყოფთ სალამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, **სახლი სვანიშვილისა;** შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან **№ 67 ოფიცერთა** ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. **ტელეფონი № 5—77.**

---

**კბილის ექიმმა**

**მამულაიშვილმა**

**(ხოდნევისამ)**

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

---

**დ. ზესტაფონში**

**ექიმი**

**დ. კ. მაჭავარიანი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

---

**უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა**

**ექიმი**

**ა. დ. შაჭაბაზიანცი**

ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს: სალ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

---

**ექიმი მ. გ. ვეფხვაძე**

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიევსკის ქუჩა, № 19.

---

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში,** ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

**ახალი აფთიაქი**

✦ **პროვიზორის ახვლედიანისა** ✦

---

**დოქტორი მედიცინისა**

მოსე ანთიმოსის ძე

**კალანდარიშვილი**

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე სალამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

**ტელეფონი, 17—21.**

---

**ექიმი**

**მ. დ. წინამძღვრიშვილი**

**უ. ორდინატორი ხარკოვის** უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან ხნეულებიან ავადმყოფებს:** გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებებიანს სპეციალურად, სალამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. **№ 86,** მეორე სართული.

---

**ექიმი**

**მ. ი. ვარნაძე**

იღებს **ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს** მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა სალამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—3)

---

**საუკეთესო კახური**

**ღვინის საწყობი**

**ადამ ზურაბის ძის**

**ბერელაშვილისა**

**მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.**

(102—წ.)

---

**საგალანტერიო მაღაზია**

**ერ. ივ. ჭავჭანიძისა და**

**ი. ი. გველესიანისა**

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

**იყიდება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:**

**ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი**

(101—წ.)

---

**სავაჭრო სახლი**

**„ძმ. სესიევები და ამხ.“**

(ვაგზლის ქ. № 6)

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ **პირველ ივნისიდან** ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება

**ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო**

(13-207-4)


---

## თბილისი, 10 თიბათვე

**ქართული გიმნაზიის გარშემო**

ამ ბოლო დროს ქართველ მასწავლებლებს შორის დიდი იდეური და ორგანიზაციური მუშაობა სწარმოებს. თვით მთავრობის წარმომადგენელნი და უცხო მეთვალყურენი აღიარებენ რომ ქართველი მასწავლებელი მაღალ საფეხურზე სდგას ვალდებულებების შეგნებითა და საქმის სიყვარულით. ფეხ და ფეხ მისდევს ცხოვრების ახალ მოთხოვნილებებს რამდენადაც ეს შესაძლებელია ჩვენ პირობებში. ქუთაისის და თბილისის გუბერნიის სახალხო მასწავლებლები საპროფესიო კავშირებს აარსებენ, ქართული გიმნაზიის მასწავლებლები საგანგებო კომისიებს ირჩევენ ქართული სახელმძღვანელოების შესადგენად. ეს მხარე პედაგოგიური საქმიანობისა ყველასათვის ნათლად სჩანს და მაზე ლაპარაკის გაგრძელება ამ ხანად ზედმეტად მიგვაჩნია. მაგრამ სამაგიეროდ ფართე საზოგადოებამ არ იცის რა ხდება თვით სკოლის ოთხ კედელს შუა, როგორ მიმდინარეობს ჩვეულებრივი ცხოვრება.

არა ერთხელ აღგვინიშნავს რომ მასწავლებლის მდგომარეობა მეტის მეტად მძიმე და საპასუხისმგებლოა. ეს ითქმის არა მარტო სახალხო, არამედ ქართული გიმნაზიების პედაგოგებზეც. ამ უკანასკნელის მდგომარეობა თანდათან უარესდება ჟამთა მიმდინარეობაში. მისი ჯამაგირი დღესაც იგივეა, რაც ამ ათი წლის წინად იყო, ცხოვრება კი ერთი ორად და ერთი სამად გაძვირებულია. ასეთ პირობებში ქართული გიმნაზიის მასწავლებელი იძულებულია ან კიდევ უფრო შეიმციროს ისედაც შეკვეცილი მოთხოვნილებები, ან კიდევ კერძო გაკვეთილები აიღოს და თავისი მძიმე შრომა კიდევ უფრო გაართულოს.

მაგრამ ბოლო დროს შეირყა არა მარტო ქონებრივი მდგომარეობა ქართული გიმნაზიის მასწავლებლისა, არამედ მისი უფლებრივი და ზნეობრივი პოზიციაც. ამ ათიოდე წლის წინად მაგალითად თბილისის ქართული გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭოს ერთგვარი ავტონომია ჰქონდა მინიჭებული. მას უფლება ჰქონდა დირექტორისა და მასწავლებლების მოწვევისა, გაკვეთილების განაწილებისა და სხ... შემდეგ ეს უფლება თან და თან წაერთვა. ეხლანდელი წესით გიმნაზიის დირექტორს გამგე კომიტეტი იწვევს, მასწავლებლებს კი დირექტორი. თვით გაკვეთილების განაწილებაც კი ხშირად მასწავლებლების დაუკითხავად ხდება.

ასეთი მდგომარეობა არ შეიძლება ჩაითვალოს ნორმალურად. რასაკვირველია არც გამგე კომიტეტი, არც გიმნაზიის დირექტორი დამნაშავე არ არის რომ ქართული გიმნაზიაში ასეთი სისტემა დამყარდა. ეს სისტემა საერთოდ მიღებულია რუსეთის საშუალო სასწავლებლებში და კერძო გიმნაზია მას თავიდან ვერ აიცილებს. მაგრამ შესაძლებელია ერთგვარი კორექტივის შეტანა ბიუროკრატიულ სისტემაში, ერთგვარი კომპრომისის დამყარება გამგე კომიტეტსა, დირექტორსა და მასწავლებლებს შორის. მეტი თვითმოქმედება გაახალისებს პედაგოგიურ საბჭოს, მეტი ნდობა მასწავლებელს ზნეობრივ ძალას შემატებს. თუ სრული ავტონომიის აღდგენა დღევანდელ პირობებში შეუძლებელია, ერთგვარი განსაზღვრული თვითმართველობა დიდათ სასურველია როგორც პედაგოგიური ისე ორგანიზაციული თვალთსაზრისით.

---

## „სახალხო ფურცლის“ საყურადღებოდ

ულირსად მივიჩნიეთ „ზვირთის“ კომპანია იმ თავიდან ამ თავამდე და ამის გამო მას ერთხელაც არ გამოვკამათებივართ. „საქართველოს“ ნომრები ამის მოწმეა. (გავჩუმდით და უკამათოთ ჩავატარეთ „მეგობრისა“, „ჩვენი მეგობრისა“ და „სახალხო ფურცლის“ ის წერილები თუ შენიშვნები, სადაც მსჯელობის ადგილი შორი-შორ თქმას ეჭირა, სიმშვიდისა—ღვარძლისა და სიბრაზეს, ხოლო საბუთებისა—დამწერის გულთმისნობას.

ჩვენი მიმართულება იმდენად ორგანიულ შეხორცებულად წარმოგვიდგენია ჩვენი ქვეყნის მომავალ აღორძინებასთან რომ მას დაუფიქრებელი, უსაბუთო და ბრაზმორეული იერიშით ვერაფერს დააკლებს.

არის მეორე მოსაზრება, რომლის ძალითაც, ბევრ შემთხვევაში გაჩუმებას ვამჯობინებდით. ჩვენებური კამათი ჩამოქვეითებულია კინკლაობამდე, დემაგოგიამდე. ნაცვლად იმისა რომ აზრი და პერსპექტივები წარმოშვას და გაშალოს, იგი მათ ხშავს და ავიწროებს. იგი ათახსირებს გრძნობას და გემოვნებას. ასეთ შემთხვევაში სიჩუმე შვებაა მთელი საზოგადოება მოგებაში რჩება.

გვინდოდა სიჩუმით ჩაგვეტარებინა „სახალხო ფურცლის“ გასულ კვირის ნომერში მოთავსებული პატარა ფელეტონი: „თავდიდა ჰკუამხელიძის დღიურიდან“, მაგრამ ვარჩიეთ ამ ფე-

ლეტონის არსებობა ალვენიშნა ყოველი უზადო გრძნობის მკითხველის საყურადღებოდ და ეს სამი მოსაზრებით:

პირველი, რომ ურჩიოთ ყოველ ქართველ მკითხველს იყიდოს 5 ივნისის „სახალხო ფურცელი“ და წაიკითხოს ეს ფელეტონი რათა დაინახოს თუ რასა ჰქვიან გრძნობის, გონების და გემოვნების „იდეალური“ სიდუხჭირე,—დაინახოს და აღშფოთდეს, დაინახოს და სცნას თუ რაებს იწყნარებს და ბეჭდავს „სახალხო ფურცელი“, რომელიც ხშირად თავს იბურავს საონოების მანდილით.

მეორე,—რომ ვაუწყოთ კეთილშობილ მკითხველს რომ შესაძლებელია ამ პატარა ფელეტონის თუნდაც უნებლიეთ მაგრამ მაინც პროვოკაციულმა ზრახვამ გასჭრას და ჩვენს რედაქციას ერთი რომელიმე წევრი ჩამოაცალოს, შეიწიროს მსხვერპლად. საჭიროა ეს გათვალისწინებული ჰქონდეს ქართველ საზოგადოებას.

მესამე,—რომ ამ ჩვენის შენიშვნით „სახალხო ფურცლი“-ს მკითხველებსაც ავარიდოთ ამ ფელეტონების გაგრძელებანი, რადგან ბ-ნი დალაქი, ავტორი ფელეტონისა, კიდევ გვპირდება გამასპინძლებას...

„საქართველოს“ რედაქცია.

## ავტოკეფალია და საეკლესიო ბეჭედი

იმ დროს, როდესაც ყველა ჩვენგანი, საქართველოს საკათალიკოზო ეკლესიის შვილები, სამართლიანად მოველით, რომ დღეს თუ ხვალ უნდა ალსდგეს ივერიის ეკლესია, უნდა მოშორდეს დაქვრივებულს შავი-ძაძა სამოსელი და კვლავ გაგვითენდეს სიხარულო დღე, აი სწორეთ ამ დროს თბილისიდან სინოდის კანტორა უგზავის ბრძანებას მთელს საეგზარხოსოს: ამიერიდან მოსპეთ ეკლესიის ბეჭდებზე **ქართული** ზედ-წარწერა და ქართულის მაგიერ სლავიანური ასოები ამოსჭერითო და თუ ეს ვერ მოხერხდა ახალი ბეჭდები შეიძინეთ სლავიანური ზედ-წარწერითაო (შემთხვევით მქონდა უბედურება წამეკითხა ერთ ერთი ბრძანება 30 აპრილიდან № 7949).

ახლა ვიკითხოთ, რა მოხდა იმისთანა? რამ გამოიწვია ეს დამატებითი აქტი ივერიის ეკლესიის შეურაცხყოფისა. თურმე იცით რა მომხდარა!

1836 წ. უწმინდეს სინოდს დაუდგენია, რომ საეკლესიო ბეჭდებზე ზედ წარწერა რუსულად, მხედრულ ასოებით კი არ უნდა იყოს საეკლესიო ბეჭდებზე, არამედ სლავიანური ასოებით იყოსო. ჰო და კეთილი და პატიოსანი, ეს განკარგულება შეეხება რუსეთის შიდა ეპარქიებს, ხოლო აქ რა შუაშია საქართველოს საეგსარხოსო, რომელსაც თავის განსაკუთრებული უფლებანი აქვს! მეორე საბუთათ ის მოჰყავთ „**უქაზში**“, რომ ფოსტის უფროსმა მოიწერაო, არ მივიღებთ უფასოდ ამას იქით იმ კონვერტებს, რომლის ბეჭედზედაც ქართული ზედ წარწერა ექნებაო. ნეტა თუ რომელმა ფოსტის მოხელემ აღმოაჩინა ეს მეორე ამერიკა?! მთელი ასი წელიწადი თუ კი ძალაში იყო ქართული ხელ-წარწერიანი საეკლესიო ბეჭდებზე, ახლა რა მოხდა! ნუ თუ ძალაში ვერ შევიდა მთელი საუკუნის განმავლობაში?! თუ არა და დამისახელეთ თუნდ ერთი ფოსტის კანტორა სადაც ჩინოვნიკებში ერთი ან ორი ქართველიც არ ერიოს, როგორ დავიჯეროთ, რომ ამ ბეჩავებმა ქართველმა ჩინოვნიკებმა ქართული წერა-კითხვა არ იცოდნენ. ბეჭდის შუაგულში დახატულია (ამოჭრილია) ეკლესია და გარშემო ქართული ზედ წარწერა აქვს რომელ ეკლესიისაც არის.—საინტერესოა ვიცოდეთ წელიწადში რამდენ კონვერტს გზავნის განა ადგილობრივი მღვდელი, ამ მსოფლიო ომის დროსაც კი რომ ასეთი დიდი ყურადღება მიუქცევიათ ფოსტის მოხელეებს. ან და თვით კონვერტზე მისამართი ხომ რუსულად აწერია და ისიც კერძო კაცთან კი არა სასულიერო დაწესებულებასთან. მოდი და ნუ გახსენდება მგლისა და ბატკნის არაკი—წყალს მიმღვრევ და უნდა შეგჭამოო.

ყოველივე ეს დიალაც სასაცილოა, რომ სატირელი არ იყოს.

ვიდრე ვოსტოროგოვი და კომპანია ცოცხალია ბევრს ამ გვარ სურპრიზებს უნდა მოველოდეთ. აბა გაიხსენეთ ამ რამდენიმე თვის წინეთ ხომ ის უქაზიც გამოვიდა—ნათლობის დროს ბავშვს მხოლოდ ის სახელები უწოდეთ რა სახელიც წმინდანებში მოიპოვებაო. ესე იგი ამ განკარგულებით თუ ათასი არა ხუთასზედ მეტი ქართული ორიგინალური სახელი ამიერიდან უნდა მოისპოს. თუ ასე დიდად ზრუნავენ ქრისტეს მორწმუნე ქართველებისთვის რატო ის კი აღარ აგონდებად, რომ მთელს საქართველოში ქართული კურთხევანი აღარ მოიპოვება რომ მღვდელმოქმედება შეასრულონ და არც ნებას აძლევენ ვოსტოროგოვები და მისი კომპ., რომ ეს აუცილებელი საჭიროება დაკმაყოფილდეს—დაიბეჭდოს კურთხევანი, რომ მღვდელს შეეძლოს ყოველივე წესის შესრულება.

**ილ. ალხაზიშვილი.**

## საჭირო საზოგადოება

დღემდე ჩვენს სამშობლოს მრავალი საზოგადოება მოევლინა: „წერა-კითხვის“, „ეთნოგრაფიული“, „სიტყვაკაზმული“, „კულტურული“, „მხატვრებისა“, „საქველმოქმედო“, „სამეურნეო“ და სხვა და სხვა. ხსენებულ საზოგადოებათა შორის უთოოდ, რომ თვითეული საჭიროც არის და აუცილებელიც. მაგრამ თუ მხედველობაში არ მივიღებთ „სამეურნეოს“ და „საქველმოქმედოს“ თითქმის ყველა ასე ვსთქვათ სიტყვიერი, ანუ ლიტერატურული საზოგადოებაა, რომელიც მაინცა და მაინც ცხოვრების საფუძვლად ვერ დაედება. ჩვენი მიზანი უნდა იყოს ისეთ საზოგადოებათა დაარსება, რომელნიც ხელს შეუწყობენ ჩვენს მიწა-წყლის შენახვა-აღყვავებას და მზრუნველობის განვითარებას. ამ მხრივ როგორც ვსთქვით, საგულისმიეროა „სამეურნეო“, იგი ავად თუ კარგად ემსახურება თვის დანიშნულებას. მისი ფუნქცია თანდათანობით გაიზრდება და მალე სათანადო ადგილსაც დაიჭერს.

მაგრამ „სამეურნეოზე“ არა ნაკლები მნიშვნელობა ექნება „ტეხნიკთა და მომრეწავთა საზოგადოება“. საოცარია, იმ დროს, როდესაც ტეხნიკთა კონტინენტი წლითი წლობით იზრდება და მომრეწავნიც ლონიერდებიან, თანდათანობით რელიეფურად გვაჩვენებენ თაიანთ პროფილს, ასეთს საზოგადოების დაარსებაზე არ ჰფიქრობენ. მართალია, გასულ წელს რაღაც მითქმა-მოთქმა იყო ასეთი საზოგადოების დასაარსებლად, მაგრამ მითქმა-მოთქმა მართლა მითქმა-მოთქმად დარჩა და რეალი გამოხატულება ვერა ჰპოვა.

რა სარგებლობის მოტანა შეუძლიან ასეთს საზოგადოებებს, ბევრი და საგულისხმიერო რამ. უწინარეს ყოვლისა ასეთი საზოგადოება შეეცდება ტეხნიკურ და აგრონომიურ ცოდნათა გავრცელებას საქართველოში. ჩვენი ქვეყანა სამადნო და მეურნეობის ქვეყანაა. მაშასადამე, ასეთ ცოდნათა გავრცელება ასწევს როგორც სამეურნეო დარგს, ისე მრეწველობისას. რად ღირირება ასეთ საზოგადოების მიერ გამართული ლექციები მოხსენებანი და ექსკურსიები! რამდენ ცოდნას შესძენს ჩვენს მწყურვალ საზოგადოებას მათი გამოფენანი, მუზეუმები, ტეხნიკური ბიბლიოთეკა, კაბინეთები მინეროლოგიისა, საგეოლოგიო, ქიმიური, სააქციონო და სხვა და სხვა. ჩეხია, მაგალითად, წინად სრულიად უმნიშვნელო ბოლოს დროს მთელი ქვეყნიერების ყურადღების ღირსი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთმა საზოგადოებამ საუცხოვოდ მოაწყო მუზეუმის საქმე და მთელი ჩეხიის ადგილობრივი ბუნებრივი სიმდიდრე გამოჰფინეს და მეტი ადგილი დაუთმეს მას, ვიდრე ეკზოტიურს. საქართველო ჩეხიაზე ნაკლები რიღათია? მდიდარი ჩვენი ბუნება საუკეთესო ნიმუშებს მისცემს სამადნეულოს, მუზეუმი ჩვენი აღმოსავლეთში თუ პირველს არა, უკანასკნელს ადგილს მაინც არ დაიჭერს.

გარდა სამეცნიერო მნიშვნელობისა ამ საზოგადოებას ექნება დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც. დღე არ გავა, რომ არ მოვიგონოთ ჩვენი მთების და მთელი სამთავროების გასყიდვა. რა ფასში? ჩალის ფასად. ჩვენ არ ვიცით ჩვენი სიმდიდრის ფასი, არ ვიცით იმიტომ, რომ სპეციალისტნი ჩვენნი ვერ მოქმედებენ და ვერ მოქმედებენ იმიტომ, რომ ამისი ასპარეზი არა აქვთ: კერძო ინიციატივის გამოწვევა ძნელია, ამაში ხელს უშლით ნივთიერი ხელმოკლეობაც. მაშინ როდესაც ხსენებული საზოგადოება ითავებს აღმოჩენისა და გამოკვლევის სფეროში იყოლიოს საკუთარი მცოდნე პირები და მათ დაავალოს საქმის გაძღოლა.

ასეთი საზოგადოება ბაზრებსაც უშოვის ჩვენს საქონელს. თუ კი ასეთსაც შევქმნით და ბაზარზე გამოსატანად დავამზადებთ. ერთი სიტყვით, მრავალი და სასარგებლო რამ შეუძლიან გააკეთოს ხსენებულმა საზოგადოებამ, თუ კი დაარსდება იგი. ასპარეზი მისი ფართოა. სამკალი უამრავი. საჭიროა მხოლოდ ამოქმედება და ინიცატივობის გამოჩენა...

**ქართლელი.**

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

გენერალ ბრუსილოვის არმიის წინმსვლელობას ავსტრო-გერმანელები სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ. მიუხედავად ამისა პრიპიატიდან მოყოლებული რუმინეთის საზღვრამდე საზოგადო სურათმა მეტად რელიეფური სახე მიიღო. ყოველ შემთხვევაში მთავარი შტაბის მოხსენების თანახმად გარღვეულ რაიონებში რუსთა წინსვლა თან და თან ღრმავდება და ემუქრება პირდაპირ ლვოვს, რომლის მნიშვნელობა როგორც სტრატეგიული ისე პოლიტიკური დიდი ხანია ცნობილია, როგორც მის დაცემის აქეთ (1914 წ.), ისე მისი დაბრუნების შემდეგ (1915 წ.). გერმანელებს მძიმე ზარბაზანთა ქარიშხალიც გამოუშვიათ, მაგრამ ამით საქმეს მაინც ვერა უშველეს რა. სოფ. გრუზიატინი ხელიდან ხელში გადადიოდა, მაგრამ საბოლოოდ რუსებმა დაიჩინეს. ტყვეთა რიცხვი 22 მაისიდან დღემდე 170 ათასამდე ავიდა. ლუცკ-ვოლინის მიმართულებით როგოვიჩის რაიონში სასტიკი ბრძოლაა. ავსტრო-გერმანელები კვლავ ემუქრებიან ფრონტის გარღვევას. თუ ამ მხრივ რუსებმა ფრონტი არ შეასწორეს, მაშინ ბუკოვინაში რუსთა წინსვლას აზრი ეკარგება და მუდამ ფრთიდან შემოვლის შიში უნდა იყვნენ.

კავკასიის ასპარეზზე მდგომარეობა გამოურკვეველია. ვიცით მხოლოდ, რომ ოსმალთ იერიშები მოაქვთ...

X.

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი**, 8 თიბათ. ოფიციალი ცნობა. გოდომიჩის ჩრდილო მიდამოებში (მდ. სტირზე) ბრძოლამ სასტიკი ხასიათი მიიღო. სოფ. გრუზიატინი ხელიდან ხელში გადადის. გუშინ, ჩვენი ჯარი შეიჭრა ამ სოფელში, დაატყვევა 11 აფიცერი, 400 მეომარი და დავლად 40 ტყვიისმფრქვეველი წამოიღო. გერმანელთა ქარიშხლისებურმა ცეცხლმა იძულებულ-გვყო ხელ მეორედ დაგვეტოვებინა ეს სოფელი. ვორონჩინში, კისელიჩიცის ჩრდილოაღმოსავლეთით, მძიმე და სუბუქი არტილერიის შემწეობით, გერმანელებმა რამდენიმე იერიში მოიტანეს. 7 თიბათვეს გავაქციეთ გერმანელები და 9 ტყვიის-მფრქვეველი წავართვით. რისელინის მიდამოებში გამწვავებული ბრძოლაა. გენერალ ბრუსილოვის ჯარს, 22 მაისიდან 3 თიბათვემდე, საერთო რიცხვით დაუტყვევებია 3350 აფიცერი, 169. 134 მეომარი, დავლად წამოუღია: 198 ზარბაზანი, 550 ტყვიის მფრქვეველი, 189 ყუმბარისა და ნალმის მტყორცნელი. 119 ყუმბარის ყუთი, 34 პროჟექტორი და სხვა მრავალი სამხარი სურსათი, თუ მოწყობილობა. დვინის ასპარეზზე, იაკობშტატის ჩრდილოეთით, გერმანელებმა არტილერია აამოქმედეს. 7 თიბათვეს ღამით, საარტილერიო ბრძოლის შემდეგ, სმორგონის სამხრეთით ძლიერი იერიშებით წამოვიდნენ. მოპირდაპირის საფრენებმა სადგ. ვილეიკაზე 40 ყუმბარა ჩამოჰყარეს. ოგინის არხზე, რამდენიმე შეტაკება მოხდა. ზარბაზნის სროლამ ორივე მხრით უკიდურესობამდე მიაღწია.

**კავკასიის ასპარეზი.** დაირბექირის მიმართულებით, ოსმალთა ყარაულის ნაწილი, რომელიც სადარაჯოზე იცვლებოდა, თოფის სროლით ამოვჟლიტეთ. მოსულის მიმართულებით, რევანდუზის მიდამოებში ქართველების რაზმს შეტაკება მოუხდა მრავალრიცხოვან ქურთებთან. უკანასკნელნი სასტიკად დამარცხდნენ და ილტვოდნენ ბაღდადის მიმართულებით ყაზახთა რაზმის მოულოდნელმა თავდასხმამ ოსმალნი, კოლო-შაჰინის მიდამოებიდან განდევნა.

—

**პარიზი.** დღის ცნობა. სომის სამხრეთით, გერმანელთა რაზმი შეეცადა მოეურის ხაზთან მოახლოებას, მაგრამ უკუ ვაქციეთ. რეიმსის ჩრდილო-აღმოსავლეთით, გერმანელებმა ორი ნალმი ააფეთქეს, შემდეგ „108“ სიმაღლის თხრილებთან (ბერი-ო-ბაკის სამხრეთით) იერიშით წამოვიდა—მაასის ორთავ ნაპირებზე მოპირდაპირის არტილერია მთელი ღამის განმავლობაში მხნედ მოქმედებდა.

**პარიზი**, 7 თიბთვე. საღმოს ცნობა. ასპარეზზე საყურადღებო არა მომხდარა რა, მხოლოდ ვოს სიმაგრის სამხრეთით საარტილერიო მოქმედება გაცხოველდა.

**ჰავრი.** ბელგეთის ცნობა. სტეენსტრიეტეს მიდამოებში საარტილერიო ბრძოლაა. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში სრული სიწყნარეა.

**ლონდონი.** შტაბის ცნობა. ლოოსის მიდამოში, სანალმოსნო და საარტილერიო ბრძოლაა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ინგლისის სამხედრო საბჭო.**

ლონდონიდან „მატენ“-ს ატყობინებენ: ინგლისის მთავრობამ გამოაცალკევა სამხედრო საბჭო, რომლის შემადგენლობა დღემდე დაფარული იყო. ამ დღეებში ლორდთა პალატაში, ლორდმა კრიუმ პირველად დაასახელა საბჭოს წევრები: პრემიერ-მინისტრი ასკვიტი, ფინანსთა მინისტრი—მაკკენა, ახალშენთა—ბონარ-ლოუ, სამხედრო მინისტრი—აწ განსვენებული ლორდ კიტჩენერი, საადმირალოს პირველი ლორდი—ბალფური და სამხედრო მოწყობილების მინისტრი—ლლოიდ ჯორჯი. სამხედრო საბჭო თითქმის ყველა საკითხებს მინისტრთა საბჭოს დაუკითხავად სწყვეტს ხოლმე.

**ნალმები ბალტიის ზღვაში.**

გერმანელებს გაუცხადებიათ, ნალმებს ჩავყრით ალმაგრუნდის, გუფვულსკარის და გოტს-სანდეს შუა, ე. ი. ბალტიის ზღვის დასავლეთ ნაწილებში, სტოკჰოლმის შესავალის სამხრეთით ფორეს კუნძულის ჩრდილოეთითო.

**ბულგარელები საბერძნეთში.**

„ეკო დე პარი“ ამბობს: ჩვენ დავინახეთ, თუ ბულგარელები როგორ დაემყარნენ საბერძნეთის მიწა-წყალზე, ჩვენ ვნახავთ კვლავ, თუ სადამდის მიაღწევს ბულგარელთა მოთხოვნილებანი და ბერძენთა მონური მორჩილება. ბერძნები ამბობენ, ჩვენ ანგარიშს ვუწევთ ბალკანეთის ამბებსაო. რასაკვირველია ახლა იქ სრულებით შეიცვალა საქმის მდგომარეობა მას აქეთ, რაც ბულგარელებმა დაიჭირეს საბერძნეთის ის სიმაგრენი, რომელიც მან მაკედონიაში აღაშენა ბულგარეთის წინააღმდეგ. ბულგარეთის მიერ ზოგიერთ სიმაგრეთა დაჭერამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მოკავშირეებზე და დიდი გავლენაც იქონია. რუპელის აღება სულ უბრალოდ მომხდარა. დანიშნულ დღეს, გერმანელი აფიცრები მივიდნენ ბერძენ კომენდანტთან და მოითხოვეს რუპელის დაცლა. კომენდანტმა სთხოვა, გვადროვეთ, მთავრობას შევეკითხებითო. გერმანელები დასთანხმდნენ. პასუხმა ცოტა დაიგვიანა. ბულგარელები სიმაგრისკენ გაემართნენ გერმანელ აფიცერთა წინამძღოლობით. კომენდანტმა ბრძანება გასცა ესროლათ. ბერძნებმა არტილერია აამოქმედეს და რამდენიმე ბულგარელი ჯარისკაცი დასჭრეს. მოპირდაპირენი ცოტა ხნით შეჩერდნენ და ათინიდან პასუხს ლოდინი დაუწყეს. ბულგარელმა ელჩმა ბერძენთა მოქმედებაზე თავისი გულის-წყრომა ათინაში გამოსთქვა. 4 საათზე მოვიდა საბერძნეთის მთავრობის მოწერილობა. მეფეს მონაწილეობა არ მიუღია პასუხის შედგენაში, რადგანაც იგი თესალონიკში იმყოფებოდა. მიუხედავად ამისა სამხედრო მინისტრმა და შტაბის უფროსმა ასე გადასწყვიტეს: დავიცვათ სიმაგრე, მხოლოდ ისე კი, რომ საბერძნეთის ნეიტრალობა არ დაირღვეს; თუ ბულგარელნი რიცხვით გვჭარბობენ, სიმაგრე დავუთმოთო. ციხის უფროსმა შეასრულა მთავრობის მონდობილობა და ღამის 12 საათზე სიმაგრე დასცალა და თანაც ბულგარელებს გულის-წყრომის წერილი ჩააბარა.

ათინაში ეს ამბავი სალამოთი გავრცელდა, მაგრამ არავითარი უკმაყოფილება არ გამოუწვევია. იმავე ღამით მეფე კონსტანტინე დაბრუნდა სატახტო ქალაქში და მინისტრების თათბირი გამართა. მეორე დღისით, მთავრობის ორგანო „ჰმა პიმერა“-მ გამოაცხადა: სიმაგრე გადავეცით გერმანელებს და არა ბულგარელთ. მოლაპარაკებაც პირველებთან გვქონდაო. ყოველივე მოხდა ისე თითქოს საბერძნეთმა გერმანეთისაგან გარანტია მიიღო“.

ფრიად სამწუხაროა ეს მოვლენა, რომელსაც კატასტროფის სუნი უდის. რასაკვირველია, ჩვენ არ ვიცით გენ. სარაილის გეგმა, მაგრამ ეჭვი არაა, მოკავშირენი სალონიკში მეტად მძლავრობენ და ყოველ შემთხვევაში შეუძლიათ წინააღმდეგობა გაგვიწიონ.

მაკედონიაში—ამბობს გაზეთი,—ჩვენ საკმაო ძალა გვაქვს, რომ მტრის იერიშები მოვიგერიოთ. უეჭველად საჭიროა, დიპლომატიას და სამხედრო მთავრობის შუა მოხდეს კოორდინაცია. მტერი სცდილობს მოკავშირენი ცალკე დაამსხვრიოს. მაგ. გერმანეთის შეტევა—ვერდენზე, ავსტრიელებისა ტრენტინოზე და ბულგარელებისა აღმოსავლეთ მაკედონიაში,—ყველა ეს ადრევე მათგან მოფიქრებული და სამოქმედო გეგმაში შეტანილი.

ეჭვი არაა, მოკავშირენი ჩვენზე უმჯობეს მდგომარეობაში არიან, მაგრამ მათი მდგომარეობა ნეიტრალია და აქვთ საკუთარი ნება. ჩვენც შეგვიძლიან შრომის და ნების ყოფის შემწეობით ჩვენი მდგომარეობა შევცვალოთ.

## დეპეშები

(პეტრ. სააგენტოს დეპეშები)

**გოდომიჩის ჩრდილო ნაწილში სასტიკი ბრძოლაა.**

—

**სოფ. გრუზიატინში რუსები შეიჭრნენ და 411 ტყვე წამოიყვანეს.**

—

**გენერალ ბრუსილოვის ჯარს 22 მაისიდან 3 თიბათვემდე დაუტყვევებია: 3350 აფიცერი, 169.134 მეომარი. დავლად წამოუღია 198 ზარბაზანი, 550 ტყვიის-მფრქვეველი, 179 ყუმბარის მტყორცნელი და სხ.**

—

**ოგინის არხთან საარტილერიო ბრძოლამ უკიდურესობამდე მიაღწია.**

—

**რევანდუზთან ახლოს ქართველები შეებნენ თურქების მრავალრიცხოვანს ჯარს, სასტიკად დაამარცხეს და გააქციეს.**

—

**ვოს სიმაგრის სამხრეთით არტილერიის მოქმედება გაცხოველდა.**

—

**სტეენტრეტეში არტილერიის ბრძოლა გაჩაღდა.**

—

**ლოოსის უბნებში სანალმოსნო ბრძოლაა.**

## ფინეთი

(დეპეშა საკუთარ კორესპოდენ.)

**ვმოგზაურობ ფინეთში. ალტაცებაში მოვყევარ და მოხიბლული ვარ ამ ქვეყნის კულტურის სიმაღლით და სულის სიდიადით. ვინახულე ციხე-დარბაზი, სადაც ხვედრიანობდა შვედებისაგან ტყვე ქმნილი საქართველოს ტახტის მემკვიდრე ალექსი—პირველი არტილერისტი რუსეთში. წავიკითხე მეფე არჩილის წერილი კარლ მეთორმეტისადმი. ვიგონებ ჩვენს დიდებულ წარსულს და იმედით ვივსები კიდევ უფრო დიდებული მომავლისადმი. გიგზავნით ამ ისტორიულ ციხე-დარბაზის სურათს.**

ლ. ჯაფარიძე.

## ახალი ამბავი

✦ **სასახლეში** მეფის ნაცვალს წარუდგა სადარბაზოდ ამერიკის შეერთებულ შტატების ყოფილი ვიცე-კონსული ფელიქო ვილლაბი სმიტი.

✦ **დაჯილდოვებულ იქმნენ** მეფის ნაცვლის მიერ წმ. ანნა 2 ხარისხით. და ხმლით: პოლკოვნიკი თ-დი ბეჟან ხერხეულიძე და შტაბს-კაპიტნი ვლ. გაბაშვილი.

წმ. ანნას 3 ხარისხით და ხმლით, პრაპორშჩიკი თ-დი ვლადიმერ ციციშვილი, ანტონი მანსვეტაშვილი, სერგი მაჭავარიანი.

წმ. ანნას 4 ხარისხით პრაპორშჩიკები ბორის ბენდელიანი.

წმ. სტანისლავის 2 ხარისხით და ხმლით პრაპორშჩიკი თ-დი, გიორგი ტატიშვილი.

წმ. სტანისლავა 3 ხარისხით და ხმლით პრაპორშჩიკები იოსებ მუსხელიშვილი, ივანე დვალიშვილი, ალექსანდრე ხარებავა, ბესარიონ ხაბულავა, დავით კაპანაძე, პროკლე კაკურიძე, კონსტანტინე მეღვინეთხუცესიშვილი.

✦ **პანაშვიდი აკაკის სამარეზე.** გუშინ ნაშუადღევს 1 საათზე მამა დავითის ტაძრის გალავანში სულმნათ მგოსნის აკაკის დაბადების დღეს მის სამარეზე გადახდილ იქმნა პანაშვიდი, გორის ეპისკოპოზის ყ. სამღ. ანტონის მიერ თანამღლცველობით არქ. ნაზარის, დეკ. თოთიბაძის, კ. ცინცაძის და ნ. მაჭარაშვილისა.

✦ **საეკლესიო მუზეუმი** ქართველ სამღვდელოებისა ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორის დადგენილების თანახმად სიონის კარ-მიდამოს გასამშვენიერებლად უნდა იქმნეს აღებული.

✦ **ირ. ევდოშვილის პანაშვიდი.** კვირას, [illegible] დიდუბის ტაძარში, [illegible] წირვა და პანაშვიდი განსვენებულ პოეტ იროდიონ ევდოშვილის სულის მოსახსენებლად.

✦ **რედაქციამ მიიღო ზ. ჭიჭინაძის** ახალი შრომა: ქართული სტამბები 1626 წ.—1916 წ. ნიკოლოზ ლოლობერიძე და ზოგი ქართველთა მოღვაწენი.—წიგნში ჩართულია 42 სურათი, მათ შორის ბევრია საყურადღებო და სულ ახლად აღმოჩენილი, როგორც: ანთიმოს ქართველისა, ფილადელფოს კიკნაძისა, სოლომონ ლეონიძისა, სოლომონ I-ისა, ბესარიონ გაბაშვილისა (მგოსანი ბესიკი) გარდა ამისა ქართველ მღვდელ-მთავართა და სხ. სურათები. წიგნში ბევრი საყურადღებო ცნობებია მოთავსებული. დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე, შეიცავს 288 გვერდს და სულ 1 მანეთად ღირს.

✦ **წელს ქ. ნოვოჩერკასში** დონის საპოლიტეხნიკო ინსტიტუტში სწავლა დაამთავრეს და სამთო ინჟინრის ხარისხი მიიღეს: დავით ანანიაშვილმა—სამთო ინჟინერი, კონონ ჟორჟოლიანმა (სამთო ინჟინერი), შალვა ლიაძემ (ინჟინერ-მელიატორი) და პეტრე ჯაიანმა (ინჟინერ-მელიატორი).

✦ **მიწად მოქმედების** სამინისტრომ კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსის განკარგულებაში გაიღო 10.000 მანეთი მიმდინარე წლის მკათათვეში ბორჯომსა და კავკავში სასოფლო-სამეურნეო კურსების მოსაწყობად პირველ დაწყებით სკოლის მასწავლებელთათვის. კურსები ექვს კვირას გასტანს. მსმენელთა რიცხვი 180 კაცზეა განსაზღვრული.

✦ **ქალაქის ინჟ. გ. ქურდიანი** მიემგზავრება რუსეთს ქალაქის წყლის საყვანის მოწყობილობისა და რელსების შესაძენად.

✦ **თბილისის ქართულ გიმნაზიაში გამოცდა დასრულდა.** წელს გაათავა გიმნაზია 46 კაცმა. მათი გვარები: ავალიშვილი ივანე, ამირეჯიბი სვ., არჩვაძე ამ., ბათიაშვილი გ., ბატრაკოვი ვ., გამყრელიძე ვალ., გაჩეჩილაძე გ., გომელაური დიმ., გოცირიძე ნ., გურგენაძე თერ., გვერდწითელი ად., დეკანოზიშვილი ალ., დიდებულიძე გრ., ზაალიშვილი გ. დ., ზაალიშვილი გ. გ., ისარლოვი ქ. კეხელი პ., კარსელიშვილი გ., კონსტანტინაშვილი გ., კურცხალია პ., ლაზრიშვილი გ. მატაბელოვი ვას., მგელიშვილი გრ., მიქაბერიძე არ., მურვანიშვილი ქ., ნაცვლიშვილი არ., ნიკიტინი იაკ., ონანიშვილი მიხ., ფალიაშვილი ლევ., ფანჩავიძე სამ., ფურცელაძე ალ., ქადაგიძე მატ., რატიშვილი გ., რატიშვილი კონ., სალაძე ვას., ტომარაძე არჩ., ტობრიშვილი ვლ., ტრანკაშვილი გ. ხარიჭარიშვილი ივ., ჯავახიშვილი დიმ., ჯანდიერი ივ., ჯაფარიძე ან., ჯორჯაძე მერ., ცისკარიშვილი ლევ., წულუკიძე ალ., ჰანკოტაძე ალ.,

✦ **სტიპენდია თავად-აზნაურთა შვილებს.** კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსი გამგებლობის ქვეშ არსებული სტიპენდია ნ. ე. ზუბალაშვილისა განთავისუფლდა. ეს სტიპენდია დანიშნულია განსვენებულის ანდერძისა გორის მაზრის ღარიბ თ-დ-აზნაურთა შვილებისათვის. ვისაც სტიპენდიის მიღება სურს თხოვნა უნდა გამოიგზავნოს ოლქის უფროსის სახელზე და თან გამოაყოლოს შემდეგი საბუთები: ბავშვის ჯანსაღობის და მშობელთა შეუძლებლობის შესახებ. თხოვნების მიღება, მიმდინარე წლის 1 მკათათვემდის რომლის შემდეგ მოხდება კენჭის ყრა ამ სტიპენდიაზე.

✦ **ქალაქის გამგეობის წევრი ბ-ნი** ათაბეგოვი, როგორც ამბობენ, თანამდებობას აღარ ანებებს თავს.

✦ **ცეცხლმა დაიტანა** ანდრეევის ქუჩაზე № 88 სახლში მომუშავე მუშა ა. გ. ბერიძე, სოფ. პატარა გომარეთის მცხოვრები.

✦ **გაემგზავრა** აბასთუმნის მაზრაში მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა გამგე ბ. კოსნიკ-პელოვსკი.

✦ **სასოფლო-სამეურნეო** ნაწილში მოსამსახურეთა დღიურ საკვებ ფულად გადასდო 3800 მანეთი.

✦ **თბილისში ჩამოვიდა** მიწადმოქმედების დეპარტამენტის მიერ გამოგზავნილი მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტებთან გასაცნობად გენ. შჩერბატოვი, რომელიც გუშინ მთავარ სპეციალისტ თბ. კომიტეტის ვ. ი. ვისნიოვსკისთან ერთად გაემგზავრა ქუთაისს.

✦ **ხარფუხის კლუბი.** 8 თიბათვეს ხარფუხის სცენაზე, ვასო აბაშიძის მონაწილეობით, ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილ იქმნა ანტონოვის კომედია „მე მინდა კნეინა გავხდე“. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა, დიდძალი ხალხი დაესწრო.

◆ **საქალაქო დუქნებში** მომეტებულ სიცხეების გამო ვაჭრობა დაიწყება დილის 6 საათზე და დასრულდება 11 საათზე.

◆ **ქალაქის ქალთა პროფესიონალი სკოლა** დაამთავრა წელს 22 ქალმა, სკოლაში სწავლობს სულ 285 ქალი, ეროვნების მხრივ ყველაზე ბევრნი არიან ქართველები, მეორე ადგილი უჭირავთ რუსებს, მესამე სომხებს და სხ. სწავლობენ თათრის ქალებიც, რომელთაგან წელს ერთმა დაამთავრა კურსი.

◆ **შემოიტანეს.** თბილისში 7 თიბათვეს ფქვილი 35 ვაგ., ფხვნილი შაქარი 2 ვაგ., წვანილი 2 ვაგ., ხალი 1 ვაგ., ღვინო 1 ვაგ., შაქრის ფქვილი 400 ფ., მჟავე კიტრი 399 ფუთი, კვერცხი 196 ფუთი.

◆ **გადამდები სნეულებანი.** 9 თიბათვეს ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ქუნთრუშიანი 65, ხუნაგიანი 5, სახადიანი 68, საოფლიანი 120, მუცელათი 1, მენინგიტიანი 1, გამოურკვეველი სენით 3 კაცი.

**ხაშური**

თითქმის სამი კვირაა, რაც ხაშურში შაქარი არ იშოვება. თუ სადმე, ისიც გირვანქა 50—60 კ. იყიდება. როგორც გადმომცეს, ადგილობრივი ვაჭრები მალავენ შაქარს როცა ის კოოპერატივს აქვს, ხოლო როცა კოოპერატივშა გამოილევა, მაშინ გამოაჩენენ და ერთიანად ჰყიდიან.

— ადგილობრივ სავაჟო და საქალებო გიმნაზიებში სწავლა 28 მაისს დასრულდა, ხოლო მისაღები გამოცდები დამთავრდა 3 თიბათვეს. სავაჟო გიმნაზიაში მომავალ სამოსწავლო წლიდან იხსნება მერვე კლასი, ხოლო საქალებო კი მეექვსე.

— როგორც იქნა კარგი დარები დაიჭირა და ხალხიც შეუდგა ყანების მარგვლას.

**ბათუმი.**

უკვე დამთავრდა და ათს ამა თვეს გაიხსნება ახალი თეატრის შენობა შმაევსკისა. შენობა ფართოა და იტევს 2000 კაცს. განათება ელექტრონისა აქვს და ორთქლის გასათბობი. ეს კი ბათუმელებისათვის დიდი იოლობაა, რადგანაც აქამდის თეატრში პალტოებით და კალოშებით ისხდნენ ხოლმე. ამ თეატრის აღებას საზამთროთ ფიქრობს ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა, თუ კი სეზონის საქმე მოაწყო. ეხლა კი საზაფხულო სეზონს ხსნიან „ტარტოს" არტისტები. მათი დასი შესდგება 40 კაცისაგან.

---

## ღარიბ მოწაფეთა

**შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოება**

(გაგრძელება)

**5 თიბათვის კრება.**

**ქალთა განყოფილება გიმნაზიისა**

5 თიბათვეს კრება განახლდა საღამოს 8 საათზე, განსახილველია ქალთა პროგიმნაზიულ განყოფილების პედაგოგიურ საბჭოს მოკლე ანგარიში 1915 წლისა.

როგორც ეს ანგარიში გვიჩვენებს, ეს სკოლა გაიხსნა 1906 წელს და ეხლა იგი შესდგება მოსამზადებელი 3 განყოფილების და 5 გიმნაზიური კლასისაგან. მეხუთე კლასი გაიხსნა 1915 წლის ენკენისთვეში. პროგრამა ქალთა სკოლისა ეთანხმება ვაჟთა გიმნაზიის პროგრამას იმ განსხვავებით, რომ ქალთა განყოფილებაში არ ისწავლება ლათინური და გერმანული ენა. სხვა საგანთა შორის ისწავლება ჭრა კერვაც.

1916 წლის იანვარს სასწავლებელში ირიცხებოდა სულ 212 მოსწავლე, რომელთაგან თავად-აზნაურთა ასული იყო 110, სასულიერო წოდების 17, მოქალაქეთა 15, გლეხთა 58 და მოხელეთა 12. სარწმუნოების მხრივ მართლ-მადიდებელთა რიცხვი უდრიდა 208-ს, ხოლო კათოლიკეთა 4-ს. აღნიშნულ მოსწავლიდან 147 იყო თბილისის გუბერნიიდან, ხოლო 65 მოსწავლე ქუთაისის გუბერნიიდან.

სწავლის შეთვისების შესახებ ანგარიშში ასეთი ცხრილია ჩართული:

პირველ განყოფილებაში ანგარიშს წლის ბოლოს ირიცხებოდა 21 მოსწავლე, რომელთაგან შემდეგ კლასში გადავიდა 17; მეორე განყოფილებაში იყო 37 მოსწავლე, გადავიდა შემდეგ კლასში 33; მესამე განყოფილებაში იყო 31, გადავიდა 25; პირველ კლასში იყო 30, გადავიდა 21, მეორე კლასში იყო 24, გადავიდა 19; მესამეში იყო 23, გადავიდა 18; მეოთხეში იყო 11, გადავიდა 11.

ბუნების მეტყველების და გეოგრაფიის კაბინეთი ჯერ სასურველად ვერ ჰქონია მოწყობილი სკოლას და ამის გამო იგი ხშირად იძულებულია მიმართოს ვაჟთა განყოფილების კაბინეთს. წლეულს სამზრუნველო საბჭოს 200 მანეთი გადაუცია სხვა და სხვა ნივთების შესაძენად კაბინეთისათვის.

პედაგოგიურ საბჭოს სასურველად უცვნია მოეწყო უფროს კლასებში წიგნების შეკინძვის სწავლება. ეს განზრახვა უკვე განხორციელებულია მე-4 და მე-5 კლასებში, რადგან ამ საქმისათვის სამზრუნველო საბჭოს გადაუდვია 120 მან.

სასწავლებელსა ჰყავს: გამგე 1, მასწავლებელი 12 და აღმზრდელი 3, სულ 16 მოსახსხურე, ამათგან 4-ს

## გაზ. „საქართველო"-ს კანტორა

### აცხადებს, რომ მისამართის გამოსაცვლელად კანტორაში უნდა წარმოადგინონ ათი შაური

უმაღლესი სასწავლებელი აქვს დასრულებული, ხოლო დანარჩენებს მიუღიათ საშუალო განათლება.

ანგარიში დამტკიცებულ იქმნა.

**შემოსავალ-გასავლის ანგარიში**

კრება შეუდგა მთელი გიმნაზიის 1915 წლის საფინანსო ანგარიშის განხილვას.

საანგარიშო 1915 წლის 1 იანვარს წინა წლის ნაშთი ყოფილა 1.739 მ., შემოსულა საანგარიშო წლის განმავლობაში 252.402 მან.; სულ 254.142 მან. ამ ფულიდან დახარჯულა წლის განმავლობაში 246.553 მან. და დარჩენილა 1916 წლის 1 იანვრისათვის 7.608 მან.

ანგარიში უცვლელად დამტკიცებულ იქმნა.

**შეკითხვა**

განსვენებულ **დ. ზ. სარაჯიშვილის** ქარხნისა და კანტორის მოსამსახურედ თავისს დროზე წერილობით განუცხადებიათ გიმნაზიის ადმინისტრაციისათვის, რომ იმ ფულიდან, რომელიც მათ უანდერძა დ. ზ. სარაჯიშვილმა, 5.000 მან. გიმნაზიას შევსწირავთ ფიზიკის კაბინეტის მოსაწყობადო.

ანგარიშის განხილვის დროს გამგე კომიტეტს შეეკითხნენ,—რა მდგომარეობაშია შემოპირებულ ფულის საქმეო?

**გამგე კომიტეტის თავმჯდომარე.** ეს ფული ჯერ არ მიუღია კომიტეტს იმის გამო, რომ ნაანდერძევი ფული ჯერ თითონ დავ. სარაჯიშვილის მოსამსახურეთაც არ მიუღიათ, რადგან ამ ფულებში წილის დადება მოუნდომებიათ ისეთ სამრეწველო დაწესებულების მოსამსახურეთ, რომელთაც დ. ზ. სარაჯიშვილთან არავითარი დამოკიდებულება არა ჰქონიათ, ვინაიდან იმ სამრეწველოში დავ. სარაჯიშვილის მხოლოდ ფირმა იყო და არა კაპიტალი. საქმე სასარგებლოა და როცა იგი საბოლოოდ დასრულდება მოსამსახურეთა სასარგებლოდ, იმედია დანაპირებს შეასრულებენ მოსამსახურენი.

**ბ-ნმა კ. ჯაფარიძემ** განაცხადა, რომ ფულები დიდი ხანია მიიღეს მოსამსახურეებმაო.

კრებამ დაავალა გამგე კომიტეტს გაიგოს საქმის სინამდვილე.

**საექიმო ნაწილი**

ჯანსაღობის მხრივ გიმნაზიის მოწაფენი, წინა წლებთან შედარებით, განვითარების გზას დასდგომიან გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ მცირე რიცხვი მოწაფეებისა, რომელთა განვითარება და ჯანმრთელობა ჩამორჩენილად უნდა ჩაითვალოს, თუმცა ასეთების რაოდენობაც გაცილებით ნაკლებია წინა წლებთან შედარებით.

სტაციონალურად სწამლობდა სახლში ექიმი 115 მოწაფეს, რომელთა შორის 20 მალიარიით იყო ავად 11—ინფლუენციით, 10—ქუნთრუშით, ხოლო დანარჩენები სხვა და სხვა სენით.

ამბულატორიულად მიღებულ იქმნენ და საჭირო დარიგება მიეცათ 1944 ავადმყოფ მოწაფეს.

**პრ. ივ. ჯავახიშვილი** ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ბევრ ქართველ ახალგაზრდებს, უნივერსიტეტებში სწავლის დროს ჰლექი უჩნდებათ და იხოცებიან. მიზეზი ამ სამწუხარო მოვლენისა უმეტეს ნაწილად უნდა ვეძიოთ აქვე, საცა ბავშვები სუსტდებიან ათასგვარ აუტანელ პირობების ზეგავლენით. ამიტომ ორატორს საჭიროდ მიაჩნია მოსწავლეების ფიზიკურად დაჯანდაკების მიზეზების შესახებ დაწვრილებითი ცნობების შეკრება, რათა საჭირო ღონისძიება იქნას მიღებული მოსწავლეთა პირობების გასაუმჯობესებლად მათსავე ბინაზე.

**ექ. გ. მაღალაშვილი** ამტკიცებს, რომ არც გამგე კომიტეტს და არც მშობელთა წრეს ძალა არ შესწევთ ებრძოლონ იმ მოვლენას, რომელიც წინა ორატორმა აღნიშნა. მხოლოდ მთავრობას შეუძლიან ანგარიში გაუწიოს ამ სოციალურ ანორმალობას. ორატორი თავისი სიტყვების დასამტკიცებლად მაგალითად მოჰყავს საფრანგეთი საცა 40 წლის წინად შესამჩნევად იკლო ხალხის გამრავლებამ და ამ მოვლენამ საშიშარი მსვლელობა მიიღო. მთავრობამ იქ შესაფერისი ღონისძიებანი იხმარა და საუბედურო მოვლენა შესამჩნევად შემცირა.

თავმჯდომარემ სთხოვა გიმნაზიის ექიმს ბ-ნ ბალარჯიშვილს კრებისათვის განემარტებინა ანგარიშში მოყვანილი ციფრები:

**ექ. ბალარჯიშვილი** ამბულატორიულად მიღებულ 1944 მოსწავლის შესახებ ამბობს, რომ ამ რიცხვმა არ უნდა შეგვაშინოთ, რადგან ბავშვები ეხლა ხშირად მომმართავენ ხოლმე ჩემს ბინაზედაც უყველ მცირე მნიშვნელოვან შემთხვევაში და რჩევა-დარიგებას ღებულობენ ჩემგან და სახლში ბრუნდებიან. მომეტებულ ნაწილად ესენი მსუბუქ და ხელად განსაკურნელი ავადმყოფნი იყვნენ. ფიზიკურად განვითარებისა და ზოგიერთ შესაძლებელ რადიკალ ღონისძიებათა შესახებ ბ-ნი ბალარჯიშვილი საჭიროდ სთვლის: ა) ფიზიკურ ვარჯიშობას ანუ გიმნასტიკას, ბ-) თბილ საუზმეს დილ-დილით,გ)თვიურად ექიმის დაქირავებას, რადგან რიგიანად უწამლობის გამო სხვა და სხვა მოარულ ავადმყოფობას (წითელას, ქუნთრუშას და სხ.) სურავანდი დაუტოვებია ბავშვებისათვის და ყურთასმენა დაუკლია, დ) კბილისა და თვალის ექიმის მოწვევას და სხ.

**დ. დუმბაძე** საექიმო ანგარიშს დიდ მნიშვნელობას აძლევს და საჭიროდ მიაჩნია ამ ანგარიშის გამოქვეყნება პრესის საშუალებით. ამასთანავე ორატორს სამართლიანად მიაჩნია კრებამ მადლობა გამოუცხადოს ბ-ნ ბალარჯიშვილს კეთილსინდისიერი შრომისათვის. ბოლოს ბ-ნი დუმბაძე ურჩევს კრებას ყურის ექიმი იქნას დაქირავებული.

**სოფ. ტარუაშვილი** ეკითხება ექიმს: შეიძლება თუ არა გიგიენურ შინაარსის წიგნები დაიბეჭდოს?

**ექ. ბალარჯიშვილი.** გიმნაზიას ამის საშუალება არ აქვს, მაგრამ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ქართველ ექიმთა თანამშრომლობით უკვე შეუდგა ამ საქმეს.

**ბ-ნი ხვ. ბაქრაძე** საჭიროდ სთვლის კვირაში ერთხელ მაინც დაწესდეს თითო გაკვეთილი გიგიენის შესახებ.

**ბ-ნი ალ. ჰიჰინაძე** საგანგებო ლექციების გაკვეთილებს შეუძლებლად სთვლის, რადგან ასეთი გაკვეთილები შესაძლებელია მხოლოდ მაღალ კლასებში. დაბალ კლასებში კი, მისის აზრით, საჭიროა მხოლოდ ხშირი დარიგება ბავშვებისა.

**ექ. ვირსალაძეს** შესაძლებლად არ მიაჩნია გიმნაზიაში გიგიენის გაკვეთილები, რადგან ასეთი გაკვეთილების მოსასმენად საჭიროა იცოდნენ ბავშვებმა ბუნების მეტყველება, ფიზიოლოგია და სხ. გიმნაზიაში, მისის აზრით, შეიძლება მხოლოდ სიტყვიერი დარიგება თავის მოვლისა და შენახვის შესახებ. შეეხო-რა საექიმო ანგარიშს, ორატორი კმაყოფილი არ არის ასეთი მშრალი ანგარიშით და თხოულობს, რომ ანგარიში უფრო ვრცლად იყვეს ხოლმე შედგენილი, რომელშიაც ყოველივე ციფრი საკმაოდ იქნება განმარტებული.

**ექ. გ. მაღალაშვილი** აცხადებს, რომ თავმჯდომარე თუ ლაპარაკის ნებას მისცემს, მას დიდძალი მასალა აქვს სასკოლო მედიცინის შესახებ. ორატორმა იცის, მაგალითად, რომ სკოლებიდან ბევრი დეგენერატები გამოდიან. ეს სიმახინჯე მათ სკოლაში შეუძენიათ და არა [illegible]. მაშასადამე — სამართლიანად ამტკიცებს ორატორი, — სკოლის ცხოვრებას და რიგიან [illegible] არსებითი მნიშვნელობა [illegible] მოზარდ თაობისათვის კერძოდ, აგრეთვე მთელი საზოგადოებისათვის. მაგრამ რა ვქნათ, ყველაფერი ქონებაზეა დამოკიდებული და ჩვენ კიდევ ღარიბები ვართ. გამგე კომიტეტს არაფრის შემოპირება არ შეუძლიან, მხოლოდ მხედველობაში იქონიებს კრების სურვილებს და შეძლების კვალობაზე ეცდება მათ განხორციელებას.

კრებამ ანგარიში დაამტკიცა და დაავალა გამგე კომიტეტს იხმაროს ყოველივე ღონისძიება მოსწავლეთა ფიზიკურად განვითარებისათვის.

**ერთდროული დახმარება.**

ცხოვრების სიძვირისა გამო გამგე კომიტეტს გადაუწყვეტია გიმნაზიის მასწავლებელთ და დაბალ მოსამსახურეთ მოუმატოს ჯამაგირის 20%. ამ თანხიდან 5.644 მან. 65 კაპ. 1 თიბათვემდე უკვე მიუღიათ ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებელთ, ხოლო 1 თიბათვის შემდეგ უნდა მიიღონ ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებლებმა და დაბალმა მოსამსახურეებმა 10,415 მან. და ქალთა პროგიმნაზიის მასწავლებლებმა 2,600 მან., სულ 13,015 მან., რაც გაცემულ ფულიანად შეადგენს 18,659 მან. 65 კაპ.

კრებამ დახარჯული ფულის ანგარიში დაამტკიცა, ხოლო 13,015 მანეთის შესახებ დაადგინა, რომ ეს ფული განაწილონ როგორც ვაჟთა გიმნაზიის ისე ქალთა პროგიმნაზიის მოსამსახურეებზე უკუღმა პროპორციის ანგარიშით, ე. ი. ვისაც ნაკლები ჯამაგირი ეძლევა, იმას მეტი მიეცეს ამ ფულიდან და ვისაც შედარებით მეტი ეძლევა, იმას მიეცეს ნაკლები.

კრება გადაიდვა შემდეგი დღის საღამოს 8 საათისათვის.

**ახალი შტატის მასწავლებლები.**

6 თიბათვეს კრება გაიხსნა საღამოს 8 საათ. 45 წუთ. წინა დღის კრების ოქმის წაკითხვის შემდეგ გამგე კომიტეტმა შემდეგი მოხსენება წარმოუდგინა კრებას განსახილველად:

„1915 წელს გამგე კომიტეტმა მოიწონა პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილება, რომ სწავლა-აღზრდის უკეთ დაყენებისათვის უმჯობესია შემოღებულ იქმნას საკლასო სისტემა სწავლებისა გიმნაზიის მოსამზადებელ კლასებში და იმავე წლის პირველ ენკენისთვიდან იწყო კიდეც ამისი განხორციელება. მდგომარე სასწავლო წელს ამ სისტემით სწარმოებდა სწავლება მხოლოდ პირველ განყოფილებებში. 1916 წელს გამგე კომიტეტმა კვლავ იქონია მსჯელობა ამ საგნის შესახებ და რათა სისტემა გატარებულ იქმნას ყველა განყოფილებებში, საჭიროდ დაინახა შემდეგი:

1) დაწესდეს მოსამზადებელ განყოფილებებში კიდევ 3 შტატის მასწავ-

---

## სოფლის მეურნეობა ქართლ-კახეთში და ქართული სამეურნეო საზოგადოება

სულ ოციოდე წელიწადია, რაც ქართლში ხეხილის მოშენება დაიწყეს. უფრო დიდი და პატარა ლიახვის ხეობაზე მისდევენ მებაღეობას. მთელი ეს მხარე ერთ გაშლილ ვაკეს წარმოადგენს. ირწყვის ლიახვით და მის ტოტებით. დიდი ლიახვიდან შვიდი თუ რვა ტოტი მიჰყავთ სარწყავებათ სხვა სოფელში. მარტო ს. ფხვენისიდან სამი ტოტი გაჰყავთ. ორივე ლიახვით ოცდა თხუთმეტ სოფელზე მეტი ირწყვის და სარწყავის რაოდენობა ასი ათას დღიურს აღემატება. რასაკვირველია ეს მანძილი სულ ბაღ-ვენახებს არ უჭირავს. აქედან მეტი წილი ისევ სახნავებია. მაგრამ ამ ბოლო შვიდ რვა წელიწადს ისეთი საოცარი სისწრაფით შენდება ხეხილი, რომ მალე ეს ადგილები სულ ბაღებით დაიფარება. წინეთ თუ ვენახის გარეშემო ჩაურიგებდენ ვაშლსა და მსხალს, ეხლა ბევრ ადგილას რამდენიმე დღიური საკუთრად ვაშლის ბაღს უჭირავს და რამდენიმე ასი ძირი ვაშლი სულ ორი ან სამი რჩეული ჯიშისაგან არის შემდგარი.

დიდი ხალისით ეკიდება ხეხილის საქმეს გლეხკაცობა, დიდ მხნეობასაც იჩენს და არც ფულსა ზოგავს ამ საქმისათვის. ეხლა ვენახებს აღარ უგდებენ ყურსა. ბევრ ალაგას სჩეხავენ და ხეხილსა ჰყრიან. მამულის ფასმა, მეტადრე სოფელთან ახლო მდებარე მიწებისამ, მეტად აიწია. მაინც მეურნე ცდილობს როგორმე ერთი ან ორი დღიური მიწა შეიძინოს, რომ ხილი ჩაჰყაროს. ხეხილიდგან ვაშლი და მსხალია. უფრო მეტად ვაშლი. ქართულ ჯიშებს: სირმას, აბულაურს, კიტრას, კეხურას, და სხვას ძალიან ნაკლებად აშენებენ, აჩენენ უფრო ევროპის საუკეთესო ჯიშებს. რამდენად ფეხი მოიკიდა ქართლში ხეხილმა, ეს ცხადად სჩანდა თბილისში 1913 წლის სამეურნეო გამოფენაზე, სადაც ქართლი სოფლის ნაწარმოებით, უმთავრესად ხილით, თავის რაოდენობით და ღირსებით სჩრდილავდა არამც თუ მთელ საქართველოს ყველა კუთხეს ერთად აღებულს, არამედ მთელ კავკასიასაც.

დიდად ხელსაყრელი და სარგებლიანი საქმეა, დიდის ხალისით და სურვილით ვრცელდება ხეხილი, მაგრამ რადგანაც ეს სულ ახალი საქმეა, უმეტესობამ მეურნეთა, უფრო კი გლეხკაცობამ არ იცის რიგიანად ხეხილის საქმე და დიდი შეცდომებიც მოსდის. შეცდომები კი ხეხილის საქმეში ძნელი გამოსასწორებელია, თითქმის შეუძლებელიც.

არ იციან მეურნეებმა მაგალითად ხეხილის არჩევა. საგანგებოდ ამ რაიონისათვის სანერგეები არ არსებობს. არის, მართალია, სამი თუ ოთხი სანერგე ხეხილისა ქართლში, მაგრამ ისინი თავის მოგებას მისდევენ და როდესაც უვიცი კაცი მიდის, აძლევენ ხშირად სრულიად უვარგისი ჯიშისას. სანერგეების პატრონები სცდილობენ რაც შეიძლება მეტი რიცხვი ჰქონდეთ სხვა და სხვა ჯიშისა და არას დაგიდევენ, თუ ქართლს მაგალითად არ ეყოფა საჭირო მასალა. ძმათა ავსარქისოვებს ს. სკრაში აქვთ სანერგე. იხილეთ იმათი კატალოგი, ორასზე მეტ სხვა და სხვა დგბა ქალაქში ასაღებენ ხეხილის ნერგებს და მხოლოდ იმის ცდაში არიან, რაც შეიძლება მეტი გაასაღონ და ძალიან არ შესწუხდებიან, თუ ქართლის სოფლებს ისეთი ხილი მოხვდება, რომელიც გვარობს მხოლოდ შავი ზღვის პირის ადგილებში. ეგრეა ხვებიც. იმავე კატალოგებში უწერიათ, რომ სანერგე უფლებას იტოვებს ერთი ჯიში შესცვალონ მეორით, როდესაც შეკვეთილი მასალა აღარა ჰყოფნით. ერთმა სანერგემ თათრული შავი ბლის მაგივრად, შავი მაისის ბალი გამომიგზავნა. აქ ერთი მეორეს ისე ჰგავს, როგორც ხოხანდული თურაშაულსა. ორლეანის რენეტის მაგიერ ფრანგული ნაცრის ფერი რენეტი მომაწოდეს. ამგვარი მოვლენა მრავალია და აბასად შეუძლიან უვიცმა კაცმა გზა გაიგნოს. მიაქვს ის რასაც აძლევენ და არწმუნებენ კარგიაო.

ერთ სანერგეში შევამჩნიე, რომ თითო წლის ნამყენ თამამ ვაშლებისაგან წვეროები წაუჭრიათ. როდესაც ვკითხე, მებაღემ მიპასუხა, რომ სანამყენე კვირტებათ ავიღეთ, რადგანაც მასალა დაგვაკლდაო. სანამყენე კვირტები კი აუცილებლივ დავაჟკაცებულ მსხმოიარე ხიდან უნდა აიჭრას, რომ შემდეგ იმ კვირტიდგან ამოცენებულ ხეს ნაყოფიერება გადაეცეს, თუ არა, და ნამყენი უვარგისია და სუსტი ნაყოფიერი, თუნდ რომ ტანით დიდიც გაიზარდოს. მეურნეების უმეტესობამ არ იცის აგრეთვე დარგვა, ზოგი ღრმად რგავს ხეხილს, რაც ავადმყოფობას იწვევს და უფრო ხშირად კი რგავენ ძალიან ახლო მანძილზე, რადგანაც ხარბობენ და უნდათ მეტი დასტიონ. ახლო დარგული ხეხილი კი შემდეგ სჩრდილავს ერთმანეთს და ფუჭდება. შემდეგ ხეხილი საჭიროებს გასხვლას და ეს საქმე კი ასში ხუთმა არ იცის. გაუსხლავი ხეხილი ბუჩქად ცოცხივით აიყრის ყლორტებს და ტოტებს, ნაყოფი გაწრილოკდება და ხდება, სხმაც შემდეგ ძალიან აკლდება. ძალიან კარგად იციან გასხვლის საჭიროება ყველა ბაღის პატრონებმა და ამ ცოტა ხანში ს. ფხვენისში და შინდისში კიდევაც მოინდომეს მცოდნე მებაღის მოწვევა გასასხლავად, მაგრამ კაცი ვერ იშოვნეს.

გარდა ამისა ხეხილს უჩნდება სოკოს ზევრგვარი ავადმყოფობა. ეს სენი ახალიანებს ნაყოფს, აფუჭებს ფოთოლს და ნორჩ ყლორტებს და ასუსტებს ხეებსაც. ნაყოფიერობაც ამიტომ ძლიერ აკლებს, ამისათვის საჭიროა აუცილებლივ წამლობა.

ამასთან ხეხილს ჰყავს სხვა მტრებიც. ეს არის სხვა და სხვა ჭია-ღუა. ესენი ზოგი ფოთოლს უხრავენ და ზოგიც თითონ ნაყოფს აფუჭებენ. აქ არ ჩამოვთვლი ამ მწერთა სიას. მხოლოდ საჭიროა მათ წინააღმდეგ ბრძოლა. მაგრამ ეს კი არავინ იცის. ზარალი მათგან კი ხშირად დიდია.

მნიშვნელობა ხეხილის მეურნეობისა ქართლის ამ რაიონისათვის ფრიად დიდია და არ ვიცი გათვალისწინებული აქვს თუ არა საქმის ამგვარი ვითარება ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას. აგერ ხუთი წელიწადია არსებობს ეს საზოგადოება და ნაყოფი მისი მოქმედებისა მეურნეობის ამ დარგში ქართლისათვის არა სჩანს.

1913 წლის ანგარიშში სამეურნეო საზოგადოებას აქვს ნაჩვენები, რომ ქართლში საზოგადოებას მოუხდენია საჩვენებელი წამლობა ხეხილისა აუხსნია მცხოვრებთათვის, როგორ უნდა მოხმარება მინერალურ სასუქისა მიწის გაპოხიერებისათვის, გარდა ამისა ინსტრუქტორს გაუცვნია ხეხილის გაშენების მდგომარეობა. ყველა ეს მომხდარა ზერელედ და შემთხვევითი ხასიათი უფრო აქვს ამ მოქმედებას, ვიდრე მუდმივ მუყაით შრომისა. ანგარიშის სიაში არ არის ნაჩვენები მეხილეობისათვის გაწეული ხარჯი და უნდა ვიფიქროთ რომ 16,086 მანეთიდან ამ დარგში არაფერი დახარჯულა.

1914 წლის ანგარიშიც უნუგეშოა. აქაც არა სჩანს შედეგი მუდმივი ნაყოფიერი მუშაობისა. ინსტრუქტორის მოქმედება ხეხილის რაიონში უჩინარია. ანგარიშში მოხსენებულია რომ სამეურნეო საზოგადოება დიდს მნიშვნელობას აძლევს პრაქტიკულ მუშაობას სოფლად მეხილეობის დარგში და ამ აზრით მეხილეობის რაიონის შუა გულში ტყვიავში ხეხილის სხვლა უჩვენა. ეს ყურადღება ხეხილის გასხვლისა, რომლითაც ძლიერ დაინტერესებულია ხალხი, გამოიხატა იმაში რომ გასხლეს ერთი ხე. ხარჯი გაწეული მეხილეობის საქმეზე ქართლში შემდეგია: ინსტრუქტორს ჯამაგირი 725 მან., მასვე საგზაო 250 მან., მეხილეობის ინსტრუქტორის მოქმედება გორის მაზრაში 250 მან. სულ 1225 მ. მაგრამ ინსტრუქტორი ამავე დროს ატენის მამულსაც უვლიდა და ნაწილი ხარჯისა იმ მამულს უნდა მივაკუთვნოთ და ეგეც რომ არ ვიანგარიშოთ მაინც საზოგადოებას სამეურნეო საქმეზე დაუხარჯავს 19,441 მან. 52 კ. და ჰქონია ნაღდი ფულიც 5580 მან. 2 კაპ. ქართლის მეხილეობაზე საერთო შემოქმედებიდან 25,021 მ. 54 კ—დან დახარჯულია ერთი მეოცედი.

ავიღოთ 1915 წლის ანგარიში. შემოსავალია 30,510 მანეთი 2 კაპ. ხეხილზე დაიხარჯა: ინსტრუქტორის ჯამაგირი 200 მ.+120=1320 მან. მასვე საგზაო 300 მ. ინსტრუქტორის მოქმედება მეხილეობის დარგში გორის მაზრაში და ხარჯი ატენის მამულზე 1253 მ. 77 კ. ამ ათას მანეთამდის ატენის მამულზეა დახარჯული, გამოვა რომ მეხილეობის საქმეზე დახარჯულა 1883 მანეთი, ესე იგი მთელი შემოსავლის მეთექვსმეტემდი. ამავე დროს კანცელარიის ხარჯები კი უდრის 4000 მანეთს. აქ შეტანილი მაქვს მდივნისა და საქმის მწარმოებლის ჯამაგირი, ჟურნალ მოსავლის გამოცემა, ფოჩტასა და სხვა საკანცელარიო ხარჯები.

1916 წლის ხარჯთ-აღრიცხვაც ორი ათას მანეთზე მეტს არ უწილადებს ქართლის მეხილეობას თითქმის ოთხი ათას თუმნის ბიუჯეტიდგან. ამ გვარი წარმოება საქმისა არ არის დამაკმაყოფილებელი.*) საზოგადოება ვალდებულია მეტი ყურადღება მიაქციოს ხეხილის რაიონს და საერთო ჯამიდან შესაფერისი თანხაც გადასდოს ამ საქმისათვის, იყოლიოს ორი ინსტრუქტორი და გამართოს სანერგე ხეხილისა, რომ საუკეთესო სანერგე მასალა მიაწოდოს მსურველებს. დაავალოს ინსტრუქტორებს რომ ხეხილის მოვლა თავიდანვე შეასწავლოს ხალხსა. ასწავლოს ხეხილის დარგვა. მისი დასწორება, გასხვლა, წამლობა და ყურის გდება. ამ გვარად შესაძლოა დაანახვოს სოფლელთ კულტურული მოვლის შედეგები. ინსტრუქტორმა უნდა დაიჭიროს კავშირი შეგნებულ მეურნეებთან, ამათთან ერთად შეადგინოს მოქმედების გეგმა და უკითხოს ხალხს ლექციები. ერთი სიტყვით უნდა დაარსოს მოძრავი სკოლა, რომლიდანაც ხალხი შეისწავლის მებაღეობის საქმეს.

**გიორგ თაქთაქიშვილი.**

(დასასრული იქნება)

---

*) ეს ფაქტი აღნიშნული იყო საზოგადოების წევრთა წლიურ კრებაზე საბჭოს წევრის ბ. ალ. ყიფშიძის მიერ, რომელმაც განაცხადა რომ მეხილეობის დარგი ქართლში უყურადღებოდ არის მიტოვებული. არის ინსტრუქტორი გორთამაშვილი, რომელიც ატენშიაც არის, სხვაგანაც და ვერსად ვერაფერს სწვდებაო.

ლებლის თანამდებობა მდგომარე წლის ენკენისთვის პირველიდან.

2) 1915 წლის საზოგადო კრების მიერ მიღებულ შტატებში შეტანილ იქმნას შემდეგი ცვლილება: 1916 წლის ენკენისთვის პირველიდან მოსამზადებელი კლასის შტატის მასწავლებელს ყველა გაკვეთილებისათვის ხსენებულ განყოფილებებში და კლასის დამრიგებლობისათვისაც ძირითად ჯამაგირად დაენიშნოს 1,300 მან.

3) იმ მასწავლებლებს, რომელნიც 1916 წლამდე ირიცხებოდნენ მოსამზადებელ კლასის შტატის მასწავლებლად, ძირითად ჯამაგირად ეძლიოთ იმავე დროიდან და იმავე თანამდებობათა ასრულებისათვის 1,500 მან.

„თანახმად არსებული შტატისა მოსამზადებელ კლასის შტატის მასწავლებელთათვის დატოვებულ იქნეს სამი ხუთ-წლეულ და თვითეულ ხუთწლეულისათვის მიეცეთ 150 მან.

„გარდა ამისა გამგე კომიტეტმა მხედველობაში მიიღო საზოგადო კრებაზე არა ერთხელ გამოთქმული აზრი, რომ საჭიროა საქართველოს ისტორიის სწავლება სათანადოდ იქნეს დაყენებული ქართულ გიმნაზიაში. პედაგოგიურმა საბჭომ და გამგე კომიტეტმა იქონიეს ამ საგანზე მსჯელობა და მიუცილებლად დაინახეს დაარსება გიმნაზიაში შტატის თანამდებობისა საქართველოს ისტორიის მასწავლებლისათვის, რომელიც უნდა დაინიშნოს მიმდინარე წლის 1 ენკენისთვიდან. აგრეთვე ყურადღება მიაქცია გამგე კომიტეტმა ფიზიკასაც, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს საშუალო სასწავლებლის კურსში და საჭიროდ სცნა დაწესდეს შტატის თანამდებობა ფიზიკისათვისაც მდგომარე წლის 1 ენკენისთვიდან“.

გამგე კომიტეტმა სთხოვა კრებას დამტკიცება ამ დადგენილებისა.

**ბ-ნი ივ. რატიშვილი** წინააღმდეგია საკლასო სისტემისა (ე. ი. 1 მოსამზადებელ კლასში ყველა საგნებს 1 მასწავლებელი რომ ასწავლიდეს), რადგან ზოგმა მასწავლებელმა ერთნაირად არ იცის ყველა საგანი და ყველა საგნის სწავლება ერთნაირად არ ეხერხება. ქართულ ისტორიის მასწავლებლად ორატორი თხოულობს ამ საგნის კარგად მცოდნე კაცს, რადგან სწავლება მეცნიერულ ნიადაგზე უნდა იყვეს დაყენებული, და არა შაბლონად.

**ბ-ნი ალ. ჭიჭინაძე** ამტკიცებს, რომ უპირატესობა საკლასო სისტემისა დიდი ხანია აღვიარებულია და ამის შესახებ აქ კამათი ზედმეტიაო. ორატორს ვერ წარმოუდგენია, რა მასწავლებელი უნდა იყვეს ის კაცი, რომელსაც მოსამზადებელი კლასის საგნები ერთნაირად არ ეცოდინება.

**ბ-ნი სპ. ბაქრაძე** თხოულობს, რომ ფიზიკის მასწავლებელს ნება მიეცეს ქალთა განყოფილებაშიაც ასწავლოს ფიზიკა, თუნდაც 18 გაკვეთილზე მეტიც მოუვიდეს კვირაში ე. ი. დაწესებულ ნორმაზე მეტი. ორატორი იმით ასაბუთებს თავისს წინადადებას, რომ მომავალ ენკენისთვიდან ქალთა პროგიმნაზიას მე-6 კლასი მოემატება, რომელშიაც კვირაში ფიზიკის 3 გაკვეთილი იქმნება და ამ 3 გაკვეთილისათვის საიდან უნდა მოიწვიონ მასწავლებელი. გარდა ამისა ქალთა განყოფილებას საკუთარი კაბინეტი არ აქვს ფიზიკისა, იმან უნდა ისარგებლოს ვაჟთა გიმნაზიის კაბინეტით, რომლის პატრონი იქმნება გიმნაზიის ფიზიკის მასწავლებელი და უცხო კაცს რათ დაუთმობს თავისს კაბინეტს,

**ბ-ნი ალ. ჭიჭინაძე** ეთანხმება ბ-ნ ბაქრაძეს, მაგრამ იმ პირობით, თუ ეს ხელს არ შეუშლის ვაჟთა გიმნაზიაში სწავლებას.

ქალთა სკოლის გამგე **ქ-ნი ჯავახიშვილი** შიშობს, რომ უმასწავლებლოდ არ დარჩეს ქალთა მე-6 კლასის ფიზიკის გაკვეთილები.

**ბ-ნი პლ. გვერდწითელი** იმედოვნებს, რომ უმასწავლებლოდ არ დარჩებიან ქალები. კომიტეტი ერთნაირის მზრუნველობით ეპყრობა გიმნაზიის ორივე განყოფილებას და ყოველივე ღონეს იღონებს, რომ საქმე სურველად მოეწყოს.

**ბ-ნი კ. ჯაფარიძე** წინააღმდეგია საკლასო სისტემისა.

**ბ-ნი ალ. ჭიჭინაძე** ამტკიცებს, რომ საკლასო სისტემის უპირატესობა უკვე ცნობილია და შეწყნარებული პედაგოგიურ საბჭოს და გამგე კომიტეტის მიერ, ამ სისტემით სწავლება უკვე არსებობს პირველ განყოფილებაში და როგორ შეიძლება ყოველ წლობით ექსპერიმენტების მოხდენა სასწავლებელშიო.

კრებამ სავსებით შეიწყნარა გამგე კომიტეტის მოხსენება, ე. ი. 1) დააწესა 3 შტატის მასწავლებლის თანამდებობა მოსამზადებელ კლასებისათვის, 2) დააწესა ქართული ისტორიის შტატის მასწავლებლის და 3) ფიზიკის მასწავლებლის.

**ხარჯთ-აღრიცხვა 1916 წლისა.**

მიმდინარე წლის შემოსავალი საზოგადოებისა ნავარაუდევია 263,823 მან, 84 კაპ. ამ თანხაში შედის წინა წლის ნაშთი 7,608 მან. 70 კაპ. ხარჯი მთელი წლისა ნავარაუდევია 262,121 მან. 24 კაპ. შემოსავალი აღემატება ხარჯებს 1,702 მან. 60 კაპ. ნავარაუდევი ხარჯის რაოდენობიდან ქალთა პროგიმნაზიის შენახვას მოუნდება 19,838 მან. 33 კაპ.

**ბ-ნმა სპ. ბაქრაძემ** მოითხოვა ჯამაგირების მომატება ქალთა პროგიმნაზიის მასწავლებლებისათვის და სხვათა შორის მიუთითა ნაშთზე (1,702 მან.), რომელიც ჯერ-ჯერობით დაფარავს აღნიშნულ ხარჯის ნაწილს, ხოლო შემდეგ სხვა წყარო აღმოჩნდება.

**ბ-ნი პლ. გვერდწითელი** ამტკიცებს, რომ ასეთ შემთხვევით, წყაროს იმედით არ შეიძლება ჯამაგირების მომატება, საჭიროა მუდმივი წყაროვო.

**პროფ. ივ. ჯავახიშვილის** აზრით ეს საკითხი გამგე კომიტეტმა უნდა გამოარკვიოს და მომავალი წლის საზოგადო კრებას თავის მოხსენება წარმოუდგინოს.

კრებამ დაადგინა გადასდეს მომავალი წლის 1 თიბათვემდე ქალთა პროგიმნაზიის მასწავლებელთა სასარგებლოდ ნაშთი 1702 მან. 60 კაპ.

ხარჯთ-აღრიცხვა უცვლელად დაამტკიცეს.

კრება გადაიდვა შემდეგი დღის საღამოს 8 საათისათვის.

## ქართ. კულტ. მოყვარ. საზოგადოება

ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების **კრება** გაიმართება დღეს, საღამოს სწორედ 8 საათზე, ექიმთა საზოგადოების დარბაზში (ალექსანდრეს ბაღის თავში, ქაშუეთის ეკლესიის მხრივ). კრება იმართება თბილ. გუბ. სახალხო მასწავლებელთა პატივსაცემლად. წაკითხულ იქმნება ორი მოხსენება: 1) **ხვ. ქვარიანისა**, „საზოგადო მიმოხილვა საქართველოს ისტორიისა“ და 2) **გ. ჟორდანიასი**: „ხალხური ადათ-ჩვეულებანი, მათი მეცნიერული და სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა და შესწავლის გზა“.

მოხსენების შემდეგ კამათი. დასწრება ყველას შეუძლიან.

**ექსკურსია.** ქართ. კულტ. მოყვარულთა საზოგადოების თაოსნობით კვირას 12, ივნისს, გაიმართება ექსკურსია მცხეთის სიძველეთა დასათვალიერებლად. ექსკურსიას ხელმძღვანელობს საზოგადოების საპატიო წევრი ისტორიკოსი **მოსე ჯანაშვილი**.

ექსკურსიის მონაწილენი კვირას, 12 ივნისს უნდა დილის $8^1/_2$ საათზე გამოცხადდნენ თბილისის სადგურზე და თან ჰქონდეთ თავისი სამყოფი სანოვაგე, აგრეთვე ბილეთის ფულიც. მონაწილეობის მიღება ყველას შეუძლიან.

## რკინის გზის მოსამსახურეთა ცხოვრებიდან

(სად. შორაპანი)

დღევანდელი დროთი გამოწვეულმა სიძვირემ უკიდურეს გაჭირვებაში ჩაგვაგდო და არ ვიცით რა საშუალებას მივმართოთ. ყოველგვარი სანოვაგის, ტანთსაცმელის და საოჯახო ნივთის ფასმა 200—300 პროცენტით მოიმატა, რაც დრო მიდის ცხოვრება უმფრო და უმფრო ძვირდება და რთულდება. და ეს სირთულე და სიძვირე ცხოვრებისა ჩვენ დაბალ მოსამსახურეთაც გვაწვება თავზე. ამ ბოლოს დროს სამსახურის პირობებიც საგრძნობლად გაგვიუარესდა. მოგვესპო ეგრედ წოდებული „ოტპუსკები“, რომლითაც სარგებლობდა თვითოეული მოსამსახურე ყოველ წელს. გვამუშავებენ მეტს და ჩვენი ცხოვრების პირობების გაუმჯობესობაზე კი არავინ ფიქრობს. აქ მივმართეთ შუამდგომლობით მაგრამ ყოველივე ცდამ უქმათ ჩაგვიარა.

ამას წინათ აქ ჩამოსულ დეპუტატ კარლო ჩხეიძესაც კი მივმართეთ დახმარებისათვის. მან დეპეშა აფრინა პეტროგრადში დეპუტატ ა. ჩხენკელთან, რომ მას ეშუამდგომლა უმაღლეს მთავრობასთან, მაგრამ არც დეპუტატის თხოვნამ და შუამდგომლობამ გასჭრა, არის თურმე კანონი, რომლის ძალითაც ომის დროს ამა თუ იმ დაწესებულების მოსამსახურეთ, რომელნიც ომის ასპარეზის ახლოს იმყოფებიან უნდა დამატებითი ჯამაგირები ეძლევოდეთ. ჩვენის აზრით, ამიერ კავკ. რკ. გზა ომის ასპარეზათ თუ არა მის ახლო მდებარე ადგილათ მაინც უნდა ჩაეთვალათ და ზემოაღნიშნულ კანონის ძალით დამატებითი ჯამაგირების განაწილება ყველა ამიერ კავკ. რკ. გზის სადგურების მოსამსახურეებზე ერთნაირად და თანასწორად უნდა გავრცელებულიყო. მაგრამ ეს ასე როდი მოხდა. ამიერ კავკ. რკინის გზა დაჰყვეს რამოდენიმე რაიონებათ, მაგალითად: სამტრედია-ფოთი-ბათომი და ალექსანდროპოლ-სარაკამიში-ჯულფა. ყველა იმ სადგურის მოსამსახურეთ, რომელნიც ზემოაღნიშნულ პუნქტებს შუა მოჰყვენ, ეძლევათ ეგრედ წოდებული „მობილიზაციონი“ ფული, რომელიც განისაზღვრება თვითოულ მოსამსახურის ჯამაგირის 62 პროცენტით. ზემო აღნიშნულ რაიონებს ბოლოს მიუმატეს კიდე სად. თბილისი, ნავთლუღი და მცხეთა. დანარჩენი სადგურის მოსამსახურენი კი რაღაც მოსაზრებით გამოგვყეს და არ სცნეს საჭიროთ მოეცათ ჩვენთვის ის დამატებითი ჯამაგირები, რომელიც მიეცათ და ეძლევათ დღესაც დღიდან ომის გამოცხადებისა ყველა იმ მოსამსახურეს, რომელნიც მოჰყვენ აღნიშნულ რაიონებში—ცხოვრება საზოგადოთ ყველგან და კერძოთ ამიერ კავკ. რკ. გზ. სადგურებზე ერთნაირად არის გაძვირებული და რით ხელმძღვანელობდენ როდესაც ესეთი დანაწილება მოახდინეს დამატებითი ჯამაგირების გაწერის დროს ვერ გამოგვირკვევია. პირიქით ზოგიერთ ზემოაღნიშნულ რაიონების სადგურებში ცხოვრება გაცილებით უფრო იოლი და იაფია ვიდრე სხვა გამოტოვებულ სადგურებში. მაგალითისთვის ავიღებ სად. სამტრედიას. ყოველგვარი სანოვაგე აქ უფრო საშოვარი და იაფია ვიდრე სხვა სადგურებზე.

**პლატონ რაჭველი.**

## დაკარგული მეომარი

ომის გამოცხადებისათანავე წაიყვანეს სათადარიგო ჯარის კაცი **შიო მიხას ძე ჩოხელაშვილი**. პირველად ის მსახურებდა ქ. ვილნოში 33 საველე გოსპიტალში ჯანგატეხილთა კომანდის მე-3 როტის 1 ვზვოდში, მერე გადაიყვანეს ჯანსაღ კომანდაში.

მას შემდეგ თექვსმეტი თვეა და მისმა მშობლებმა მის შესახებ არაფერი ვიცით მკვდარი არის თუ ტყვედ არის წაყვანილი.

ამისათვის უმორჩილესად გთხოვთ თუ ვინმემ რაიმე იცით შიო ჩოხელაშვილის შესახებ შეგვატყობინოთ ამ მისამართით: Тіонеты сел. Магаросъкари Михаилу Чохелашвили. ცნობის მომწოდებელი ჯილდოს მიიღებს.

პატივ. **მიხა ჩოხელაშვილი.**

## დაბა-სოფლები

**ს. ხევი** (დუშეთის მაზრა). გათავდა აქეთ სახნავი. გაზაფხული ადრე დადგა. ხევ-მთიულეთის და გუდამაყრული ცხვრები, აგრეთვე თრუსოული ოსებისა, ყიზლარის მხრიდამ (საზამთრო ბინებიდამ) საზაფხულო საბალახოთ მთებში კარგად შენახული დაბრუნდა. როგორც ნაშენი აგრეთვე სრული მატყლი მოჰყვა. საკლავიც რიგიანს ფასში იყიდებოდა მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ პარსვა გათავდა და მატყლის ვაჭარი არავინა სჩანს. თუმცა სამიოდ შემოჩვეული, გაქნილ-გაცვეთილი ჩარჩები ხალხს, როგორც ფასანაურში (მთიულეთში) ისე ყაზბეგში (ხევში) შავს ყორნებსავით მოგვეჭრივენენ, თავიანთ პირობაზე აქაურს ჩარჩებთან მოილაპარაკეს, ხალხს ხმა არ გასცეს და ისევ ბზობის ყორანსავით გაჰქრნენ, მიიმალნენ. აქაური მათი აგენტებიც ასე აიმედებენ მცარცველს ვაჭრებს, მატყლს მთლათ ჩვენ მოგიმზადებთ! რათ გინდათ სოფლებში სიარული? უფრო ძვირათ დაგიფასებენ და ერთი ორათ და სამათ დაგიჯდებათო. მზა მატყლს წაიღებთ ჩვენგანაო. ხალხს ასე გვეუბნებიან: ბეი აიღეთ მატყლისა და მერე რაც მაზანდა გაიკვეთება ისე გაგისწორდებითო. მაზანდის გამკვეთლათ ისევ ეს მცარცველები უნდა მოვიდნენ და გაგლიჯონ ხალხს ლუკმა. ამავე დროს ვკითხულობთ გაზეთ „საქართველოს“ ამა წლის № 106-ში, რომ სამხედრო საჭიროებისთვის მაუდის მოსამზადებლათ ქარხნებით ვაჭრობენ მატყლსა და ფასი გადაწყვეტილი არის: მერინოსი—85 მ. იცვაისა და ბესარაბისა 63 მანეთი და სხვა მატყლი 56 მანეთით. ეს უკანასკნელი ფასი რომ ვიგულისხმოთ სწორეთ ჩვენს მატყლზედა, ქართულ მატყლზედ, ხომ ესეც დიდი ბედნიერება არის ჩვენის დაბეჩავებულის და უმოსავლო ხალხისათვის და მაშ რაღათ გამტყუნებათ ჩვენს სულთა-მხუთავს ჩარჩებს სუყოველთვის და სუყოველგან? ახალგორელი სომხები დადიან ფასანაურის მიდამოებში და ძველს ფასებზე შედარებით თითო-ოროლს მანეთს მეტს აძლევენ და ამით ხალხი შეცდომაში შეჰყავთ. თან ამბობენ, ფაბრიკებში ქართულის ცხვრის მატყლი არ ვარგაო, ეგ ჩვენ მარტო მუშტრისთვის მასალად გვინდაო; მატყლი ძაან ჭუჭყიანიაო და სხვ. მე ამისმა დამწერმა გავრეცხე სუფთათ $3^1/_2$ გირვანქიანი ნაპარსი (კანძი) და დაიკლო მან მხოლოდ $^1/_8$ გირი, მაშასადამე წმინდა მატყლი დარჩა სამ გირვანქა ნახევარს ერთ მერვედის ნაწილით ნაკლები.

მაინც და მაინც ჩვენ ბატონ-ყმობის მზგავსს ცხოვრებას ჩარჩებთან მხოლოდ თუ მოსპობს კარგად მოწყობილი კოოპერატიული დუქნები და ადგილობრივი ბაზრების დაარსება, თორემ არა გვიხსნის რა ჩარჩების მძლავრი კლანჭებისაგან.

**კალმისწვერა.**

## თეატრი

**დ. ხაშური.**

შაბათს 4 თიბათვეს როგორც იქმნა ხაშურის საზოგადოება ეღირსა გედევანიშვილის „გამცემის“ დადგმას. პიესამ კარგად ჩაიარა, შაქროს როლში გვარიანი, ხოლო უკანასკნელ მოქმედებაში კი კარგიც იყო ა. კორძაია, კარგი იყო არჩილი (ა. ქუთათელაძე), სიკომ (კ. სიხარულიძემ) უნაკლოდ შეასრულა თავისი როლი და პირველ მოქმედებაში საზოგადოებაც ბევრი აცინა; არა უშავდა მარიკოს (ქ—ნი აბხაზიშვილისა), კარგი იყო ჩვეულებრივად ნინო (ქეთო კალაძე) შესანიშნავად შეასრულა კნეინას როლი ქ-მა მ. რევაზიშვილის ასულმა. დანარჩენები ანსაბლს ხელს უწყობდნენ.

წარმოდგენას ხალხი ძლიერ ცოტა დაესწრო. არ შემიძლია არ ვუსაყვედურო ადგილობრივ დრამატიულ გამგეობას, აგრეთვე სცენის მოყვარეებსაც, რომ ეს ორი სამი თვე ისინი თითქმის სრულიად უმოქმედობას იჩენენ და ძლიერ იშვიათათ მართავენ წარმოდგენებს, მაშინ, როცა აქ თითქმის ყოველ კვირა შეიძლება წარმოდგენების დადგმა, რადგანაც არა მგონია რომელიმე პროვინციალურ სცენას ჰყავდეს ისეთი ნიჭიერი სცენის მოყვარენი როგორც ხაშურს.

სიამოვნებით ესწრობოდა წარმოდგენებს და მოუთმენლად მოელოდა ყოველივე შაბათს, მაგრამ ამ ბოლო დროს ისიც თითქოს გადაეჩვია სცენას. საჭიროა მეტი ენერგია, მონდომება და საქმის სიყვარული; თორემ ისედაც დავალიანებული გამგეობა კიდევ უფრო დავალიანდება და ასეთს კულტურულ დაწესებულებას, როგორც თეატრია, იქნებ ბოლოც კი მოეღოს. ვინ იცის, იქნებ მას აქამდისაც მოეღებოდა ბოლო, რომ მუდმივ დამხმარემესვეურად არ ჰყოლოდა ინჟინერი ბ. ვ. ძნელაძე, რომელიც ფულითაც და პირადი ყოველგვარი შრომითაც ეხმარება და უძღვება ადგილობრივ თეატრს და არაფერს არ იშურებს მისთვის. აი სწორედ ამიტომ მივმართავ ადგილობრივ დრამატიულ გამგეობას და სცენის მოყვარეთ გამოიჩინონ მეტი ენერგია, საქმის სიყვარული და მით აალორძინონ და სამუდამოდ ღრმად ძირი გაუდგან თეატრის არსებობას.

**გ.**

**სახალხო სახლი.**

სამშაბათს 14 ამ თვეს სახალხო სახლში ვლ. **ს. ალექსი მესხიშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პირველად სახალხო სახლში „ინსტიქტი“ დრამა 3 მოქ. თარგმანი ვლ. ალექსი მესხიშვილისა. შემდეგ წარმოადგენენ „მათიკოს“ მესამე მოქმედებას.

—

**სოფელი პატარძეული.** (გარე კახეთი)

6 თიბათვეს აქ დაიდგა „ყაზაღი არსენა“ ხელმძღვანელობდა ი. რუისპირელი.

—

**ხარფუხის კლუბი.** შაბათს, 11 თიბათვეს, ტასო აბაშიძის, ვასო აბაშიძის და იუზა ზარდალიშვილის მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება „ხოსიას ღელე“ და „ვაი ყობოს“. და სასრულ ი. ზარდალიშვილი წაიკითხავს ებრაულ სცენებს. წარმოდგენაზე შესვლა უფასოა.

## წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო!

ნება მიბოძეთ ულრმესი მადლობა გამოუცხადო ჩემსა და ჩემდამი რწმუნებულ მრევლის მაგიერ დ. ახალსენაკში მოიჯრე აზ. მაქსიმე ჯარუს ძე მისაბიშვილს, რომელმაც შემოსწირა ჩემდამი რწმუნებულ ეკლესიას სახურავის სღებავი მასალა და გვირგვინები ღირებული სულ 100 მანეთად.

ქვედა თეკლათის მთავარ ანგელოზის ეკლესიის ბლაღოჩინი-მღვდელი

**თეოფანე კალანდარიშვილი.**

## სოფ. ახალქალაქში გამოფენისთვის შემომწირველთა სია:

ეს გამოფენა გაიმართება ამ ზაფხულს, შემოსავალი გადაეცემა ქართველ მეომართა შვილებს სახელმძღვანელო წიგნების სახით. ყველა ნივთები გამოფენის შემდეგ გადაეცემა ქართულ საისტორიო და საეთნოგ. მუზეუმს.

**(გაგრძელება)**

76. მაშო ალექსის ასულმა ზაქარიაშვილისამ— ძველებური თმის გასაყოფი ვერცხლისა.

77. მარიამ გოგიაშვილისამ—ძველებური ციმციმიანი—შუბლის ქინძისთავი იაგუნდ-ფირუზ თვლებიანი.

78. ნინო ოქროს ასულმა ჯლანტიაშვილისამ—ოქრომკედის თასაკრავი.

79. ელენე ალექსის ასულმა ბაქიძისამ – ძველებური შუბლის ქინძისთავი.

80. მარიამ მახარეს ასულმა დავლაშერიძისამ—მამაკაცის ძველებური ახალუხის გულისპირის მოსავლები ბუზმენტი და საყელოს ღუგმა ვერცხლი.

81. სოფიო ანდრიას ასულმა ელისაბედაშვილისამ—სოფ. ერთაწმინდის მიწაში ნაპოვნი საცრემლე თიხისა.

82. ნატალია ივანეს ასულმა იმედაშვილისამ—იკვში (მთა) კლდეში ნაპოვნი.

83. ნინო სვიმონის ასულმა სალხინაშვილისამ— საცერული — (მამაკაცის ცერის ბეჭედი.)

84. რემსიმე ნონიას ასულმა ჩალაევისამ: ა) ფერადი ძაფით ნაკერი ძველებური თასაკრავი, ბ) ვერცხლის ბეჭედი ზურმუხტის თვლიანი.

85. რემსიმე ნონიას ასულმა ჩალაევისამ: ა) ფერადი ძაფით ნაკერი ძველებური თასაკრავი, ბ) ვერცხლის ბეჭედი ზურმუხტის თვლიანი.

85. ოლა გიორგის ასულმა გოზალოვისამ—სანიმუშო სახე.

86. სოფიო გიორგის ასულმა გოზალოვისამ—სადაფის ბუდე სირმით ნაკერი.

87. ვარო ნიკას ასულმა მელიქოვისამ—ფერადი ძაფით ნაკერი თასაკრავი.

88. ნინო ზაქარიას ასულმა მელიქოვმა—ფერადი ძაფით ნაკერი თასაკრავი.

89. ბარბარე სოლომონის ასულმა მამასახლისოვისამ—ძველი ხელნაწერი 2.

90. ეკატერინე სოსოს ასულმა ერემოვისამ—საჭრაქე.

91. მაგდან ნონიას ასულმა დანდუროვისამ: ა) სოფ. ახალქალაქში მიწაში ნაპოვნი, ბ) თამბაქოს ნემსი, გ) სარტყლის ნაჭრები სირმით ნაქარგი.

92. ელისაბედ გიგოს ასულმა დანდუროვისა—ძველებური ყელიანი გოგრა.

93. კატო ალექსის ასულმა მამასახლისოვისამ ძველებური ჭიქა (ბაკალი).

94. [illegible] ასულმა მამასახლისოვისამ —საჭრაქე.

95. კეკე ბეროს ასულმა ბეგლაროვისამ—ა) სანიმუშო სახე, ბ) ფერადი ძაფით ნაქსოვი საფულე ქისა.

96. სონა მოსეს ასულმა ბეგლაროვისამ —ძველი ხელნაწერი.

97. მაშო ივანეს ასულმა ზუბიევისამ ძველებური თმის გასაყოფი (ვერცხლი).

98. სონა ბესარიონის ასულმა მამასახლისოვისამ—ფერად აბრეშუმით ნაკერი საფულე ქისა.

99. ევა იაგორის ასულმა მამასახლისოვისამ—ფერადი ძაფით ნაკერი თასაკრავი.

**ანეტა კაპანაძისა.**

(შემდეგი იქნება)

## შემოწირულება

**ირ. ევდოშვილის** ოჯახის სასარგებლოდ რედაქციამ მიიღო ქუთაისის საქველმოქმედო საზოგადოებისაგან გადადებული ხუთი თუმანი.

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

**გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.**

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის (პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

An die Kommandatur
des Kriegsgefangenenlagers

აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.

Liebesgaben für die russischen Kriegsgefangenen.

აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.

Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse,
№ 48, A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond Russe pour les prisonnier de guerre.

**ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ** შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

Швейцарія — Заказное
Suisse. Recommandée
Comité International de la Croix Rouge.
Agence des prisonniers de guerre Genève.

**ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია**

# „განათლება“-ში

**იყიდება** ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

## თევზის მრეწველნი
# ძმ. მეგვლოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

## განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-ძმით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მუშოჩნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინაბება.